№ 210
შაბათი, 19 ნოემბერი

1877—1905

№ 210
შაბათი, 19 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაუბეჭდავი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქენი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა ავლაბრის თეატრში.
კვირას, 20 ნოემბერს, 1905 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:
მეზობლები
სცენები გურულების ცხოვრებიდან 4 მოქმედ., ტრ. რამიშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ი. ჟვანია, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, კ. ჯაყელი.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე
ადგილების ფასი: 10 კ. 1 მ. 20 კაპ.
ხუთშაბათს სახაზინო თეატრში ვასო აბაშიძის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება ივ. გომართელის ახალი პიესა „ქუჩში“.
რეჟისორი ვალ. გუნია.

◆ ◆ ◆

კვირას, 20 ნოემბერს,
დილის 10 საათზე, ნაძალადევში
დანიშნულია
სახალხო მიტინგი
გასარჩევი კითხვებია:
1) მოძრაობა სალდათებში.
2) კავშირების თავისუფლება და ფოსტა-ტელეგრაფის უწყება.
3) ხოცვა-ჟლეტის პროვოკაცია.
ტფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

◆ ◆ ◆

ტფილისის სახაზინო თეატრი
სამშაბათს, 1905 წ. 22 ნოემბერს
ქართულ ოპერების მმართველ ამხანაგობის მიერ,
დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ
წარმოდგენილი იქნება
I
სევილიელი დალაქი
ოპერა 3 მოქ. და 4 სურათ. მუსიკა როსსინისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ანდრეევსკაია, მიტკევიჩისა, ბაქრაძე; ბ-ნნი: არჩეული, ცხომელიძე, ავასი, კარგარეთელი, ჯაფარიძე, მეიფარიანი.
ოპერის ლოტბარი იქნება ნ. გ. ქართველიშვილი.
II
საკონცერტო განყოფილება
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, კარრი, ბ-ნნი: დონსკოი, კალოტოვი, სოკოლკი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო.
ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება „ვოზროჟდენიე“-ს რედაქციაში და ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში.

ტფილისის სიფხიზლის საზოგადოება
რკინის გზის თეატრი
შაბათს, 19 ნოემბერს,
სახალხო თეატრის სცენის მოყვარულთაგან
დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება
I
მეზობლები
დრამა 4 მოქმ. რამიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მდივანი, ივანიძე, რთმანიშვილი, ჩაგუნავა, შაუდიშვილი; ბ-ნნი ხახანაშვილი, ჯაბაური, ურუშაძე, გოცირიძე, ანანიაშვილი, ბაკურიძე და სხვანი.
დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.
ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში, პარასკევს—3 საათზე და წარმოდგენის დღეს—5 საათიდან.
რეჟისორი ნ. გოცირიძე

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
შაბათს, 19 ნოემბერს, წარმოდგენილი იქმნება პირველად ტფილისის სახაზინო სცენაზე
ჩერევიჩკი
ოპერა 4 მოქმ. და 10 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი არციბაშევისა, მიშეცკაია; ბ-ნნი დონსკოი, კარელინი, სოკოლსკი, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვი, ვოლსკი, დემიანენკო, შეინი.
ბალეტის გამგეა ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კაპელმეისტერი დ. პ. შტეინბერგი
რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ადგილების ფასი „გალა“.
ანონსი: კვირას, 20 ნოემბერს, დილით წარმოდგენილ იქნება „ნერონი“, მუს. რუბინშტეინისა; ორშაბათს, 21 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება „გეიშა“, ოპერეტტა 3 მოქ. სამშაბათს, 22 ნოემბერს, ქართულად წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი“. მზადდება წარმოსადგენად „ფიგაროს ქორწინება“, მუს. მოცარტისა.

ამა ნოემბრის 19-ს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქუჩა)
დანიშნულია არა ჩვეულებრივი
საგუბერნიო კრება
გუბერნიის თავად-აზნაურთა,
რისაც აუწყებს მათ გუბერნიის მარშალი და სთხოვს მობრძანდნენ ამ კრებაზე დასასწრებლად.
(3—3)

ქართველ მასწავლებელთა კრება
ორშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში, დანიშნულია ქართველ მასწავლებელთა კრება. კრების მიზანია—დაარსება ქართველ პედაგოგების საზოგადოებისა, რომელმაც ახალის პროგრამით უნდა მოაწყოს ქართული სკოლა.
ძლიერ სასურველია—კრებას ყველა პედაგოგები დაესწრონ.
2—1

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

რკინის გზის გამგეობა
იწვევს მსურველთ 16000 ფუთი ხის ნახშირის ჩასაბარებლად. ფასები უნდა განაცხადონ დაბეჭდილ კონვერტებში ზედ-წარწერით: „въ Совѣтъ Управленія Зак. ж. дорогъ заявленіе цѣнъ на уголь деревянный“ 12 საათისათვის 22 ნოემბერს.
ნახშირი უნდა ჩაჰბარდეს ტომრებით, რომლებიც უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს 4 თვის შემდეგ ჩაბარებისა.
დაწვრილებითი ტეხნიკური პირობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, რკინის გზის გამგეობაში მატერიალურ განყოფილებაში დილის 9-დან 3 საათამდე, ელისაბედის ქუჩაზედ საკუთარი სახლი.
(3—3).

9 სექტემბერს, ღამე, დაკეტილის ოთახიდან
ქუთაისში, სასტუმრო „გრანდოტელში“
მომპარეს ჩემოდანი
ბევრ ჩემთვის ძლიერ საჭირო საბუთებსა და ნივთებს გარდა, წაიღეს ამხანაგობა „გეორგია“-ს საამხანაგო ხელშეკრულობის დედანი, ნიუ-იორკის დამზღვევ საზოგადოების პოლისი, ორი საწყრო ბანკის ბილეთი, ვექსილები, ჩემი თხზულებანი „განწირულნი“, „მშვენიერების წინაშე“ და სხვ., ბავშვის მეტრიკული მოწმობა. ამით ვაცხადებ, ვინც იპოვნის ამ ზემოხსენებულ საბუთებს და გამომიგზავნის, მიიღებს სასყიდელს ას მანათს. თუ ყველა საბუთებს და ვექსილებს მომიტანს, ან ფოსტით გამომიგზავნის, გადავუხდი ორას მანათს და ვაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მომტანის ანუ გამომგზავნის სახელს არ გავამხელ. ვიმედოვნებ, მპოვნელი აღასრულებს ამ ჩემს თხოვნას, მით უმეტეს, რომ მპოვნელისთვის არც ერთი საბუთი არაფრად მოსახმარისი არ არის და მე-კი დიდად დამავალებს. ადრესი: ბათუმი, კანტორა „გეორგია“, იასე მეხუზლა—რაჭველი. (5—5)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ყ. მ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, ზვგიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
ზ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ზძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. ქარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
მ. ა. ნავასარდიანი. $7—7^1/_2$ საათ.
ზ. აზიანცი—შინაგან ავადმყ. $7—7^1/_2$ საათ.
მ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанъ.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კონუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

გაფიცვა და მომრიგებელი კომიტეტები

—

იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტურ წარმოების წესი განვითარებულია, სადაც—საკუთრების მხრივ—შრომა და კაპიტალი გათიშულია,—ხალხის დიდძალ ნაწილს საწარმოვო იარაღი არა აქვს და თავის სამუშაო ძალის გაყიდვით უხდება თავის რჩენა,—სწარმოებს სასტიკი კლასობრივი ბრძოლა და განსაკუთრებით ხშირია მუშათა გაფიცვა. გაფიცვა არის შეერთებული, სოლიდარული მოქმედება მუშა-ხალხისა, რომელიც გამოიხატება მუშაობის ალკვეთაში და რომელსაც მიზნად აქვს წარმოების პატრონზე,—წარმოების შეჩერების სახით,—ძალის დატანება მუშათა მოთხოვნილების მისაღებად და საზოგადოდ შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. თუმცა არიან ისეთი მეოცნებე იდეოლოგები, რომელნიც „სოციალურ მშვიდობიანობაზე“ ოცნებობენ და ფიქრობენ, რომ არსებულ სოციალ-ეკონომიურ წესწყობილებაში შესაძლებელია თხა და მგელი მშვიდობიანად ერთად მოთავსდეს, შესაძლებელია მშრომელ ხალხსა და ბურჟუაზიას შორის წარმოებისა და ნაწარმოებთა განაწილების პროცესში თანხმობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა არსებობდეს, მაგრამ ნამდვილი, რეალური ცხოვრება ამგვარ სურვილებს არ ემორჩილება და ყველას, ვისაც განგებ თვალები დახუჭული არა აქვს, ცხადად ეუბნება რომ, ვიდრე ძირიანად არ მოისპობა საზოგადოების კლასებად დაყოფვა და საწარმოვო იარაღები მთელის საზოგადოების კუთვნილება არ შეიქნება, მანამდის შეუძლებელია ბუნებით შეუთანხმებელ ინტერესების შეთანხმება, კლასობრივ ბრძოლის მოსპობა და სოციალურ მშვიდობიანობის დამყარება.

გაფიცვა ერთ-ერთი იარაღია კლასობრივ ბრძოლისა, რომელიც, როგორც ეს დღეს ყველამ იცის, ჩვენშიაც აღარ შეადგენს ახალ და უცხო მოვლენას; კლასობრივი ბრძოლა ჩვენშიაც არსებობს და გაფიცვა ჩვენშიაც ხშირად ხდება, რადგან ის რეალური ნიადაგი, რომელიც საფუძვლად და მიზეზად უდევს კლასობრივ ბრძოლას, ჩვენშიაც არის წარმომდგარი. და უეჭველია, რაც დრო გავა, რაც უფრო განვითარდება მრეწველობა და ჩვენი სოციალ-ეკონომიური ცხოვრება ბურჟუაზიულ სახეს მიიღებს და დაწინაურებულ ქვეყნებისას დაემსგავსება, მით უფრო ძლიერი იქნება კლასობრივი ბრძოლა და მით უფრო ხშირი მოვლენა შეიქნება—კერძოდ—მუშათა გაფიცვაც.

ამიტომ, რასაკვირველია, ჩვენშიაც უნიადაგოა ისეთი მისწრაფება, რომელსაც მიზნად აქვს არსებულ წესწყობილებაში მუშა-ხალხისა და მწარმოებელ-კაპიტალისტთა ეკონომიურ ინტერესების შეთანხმება და შერიგება. ეს, საბედნიეროდ, შეუძლებელია. ვამბობთ, „საბედნიეროდ“, რადგან, ეს რომ მართლა შესაძლებელი იყოს,—ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ შესაძლებელია ეკონომიურ მონობისა და დაბეჩავების სამუდამო არსებობა.

მაგრამ ინტერესების წინააღმდეგობის არსებობა იმას არ მოასწავებს, რომ კერძო შემთხვევაში მუშებსა და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს შორის ვითომ არავითარ საერთო თათბირსა და შეთანხმებაზე არ შეიძლებოდეს ლაპარაკი და წამდაუწუმ, ყოველ ხელისშემწყობ თუ არ-შემწყობ გარემოებაში, ბრძოლაზე ყვირილი და გაფიცვის დაწყება იყოს საკმარისი. თვით კლასობრივ ბრძოლის ნორმალურად და ნაყოფიერად წარსამართავად საჭიროა არა ერთი და ორი სოციალური დაწესებულება, რომელსაც სათითაოდ პატარა რეფორმის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმისთვის ძალიან საჭირო და სასარგებლოა.

ერთი ამგვარი პატარა, მაგრამ სასარგებლო დაწესებულებაა ესრედ წოდებული მომრიგებელი კომიტეტები, რომლებიც თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებშია დაარსებული. ამ კომიტეტთა მიზანი არის—კერძო შემთხვევებში, როცა კი ეს შესაძლებელი იქნება, მუშები და მუშათა დამქირავებელნი ერთმანეთში მოარიგონ, ორივე მხრის მოთხოვნილებანი ასწონ-დასწონონ, წარმომდგარი უთანხმოება მშვიდობიანად მოაწყონ და, ამგვარად, მოსალოდნელ გაფიცვისაგან აუცილებელი ზარალი ორსავე მხარეს—მუშებსა და დამქირავებელთ—თავიდან ააცილონ.

ჩვენის აზრით, ასეთ დაწესებულებათა შემოღება განსაკუთრებით საჭიროა ჩვენში, ვინაიდან ჩვენში სოციალურ მოძრაობასა და ბრძოლას დიდის ხნის ისტორია არა აქვს, და ამიტომ არც მუშები და არც მრეწველები შეჩვეულნი არ არიან იმ ურთიერთობას, რომელიც დიდის ხნიდან ცნობილია ევროპასა და საზოგადოდ ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში. ყოველი მრეწველი დღემდის თვითმპყრობელი იყო თავის წარმოებისა და იგი არ არის შეჩვეული არც მუშათა ეკონომიურ მოთხოვნილებას და არც მათს სოლიდარულ მოქმედებას. ამიტომ ხშირად მოხდება, რომ მუშათა კოლექტიურ მოთხოვნით აღელვებული კაპიტალისტი იმგვარ პირობებზე არ თანხმდება და მუშების მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს, რომლის დაკმაყოფილება მას ბევრად ნაკლებ ზარალს მისცემდა, ვიდრე რამდენსამე ხანს გაფიცვით გამოწვეული გაჩერება წარმოებისა. ხშირად უბრალო ჟინიანობა იწვევს ისეთ შედეგს, რომელიც საღის გონებით გასამართლებელი არაა. მეორე მხრით, ჩვენებურ მუშებსაც აკლიათ ეკონომიურ ცხოვრების საკმაო დაკვირვება და აღებ-მიცემობის მდგომარეობის ცოდნა. ამიტომ შესაძლებელია, ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში, ისეთი მოთხოვნილებანი იქმნეს მუშების მხრით წარმოდგენილი, რომელთა დაკმაყოფილება მრეწველს, წარმოების ნაყოფიერებისა და ბაზრის მდგომარეობის მიხედვით, არას გზით არ შეეძლება. ამიტომ არსებობა რაიმე საერთო დაწესებულებისა, სადაც იქნება თანასწორი რიცხვი მუშებისა და მრეწველთა წარმომადგენლებისა და ისინი ერთად გაარჩევენ სადავო საკითხებს და საბუთებს, არა თუ ხელს არ შეუშლის მუშათა ინტერესების დაცვას, არამედ ხშირად თავიდან ააცილებს თვით მუშა-ხალხს ისეთ გაფიცვის დაწყებას, რომელიც, როცა ბაზრის მდგომარეობა ხელის შემწყობი არაა, უეჭველად გაფიცულთა დამარცხებით დასრულდება.

უფლება „ხალხის ნდობით“?

—

ევროპის სახელმწიფოებში, სადაც საკონსტიტუციო წესწყობილება არის შემოღებული და ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში, ყოველივე სახელმწიფო მოხელის უფლება ხალხის ნდობაზედ არის დამყარებული. იქ სახელმწიფო სამსახურში მყოფი ვერც ერთი მოხელე თავის თანამდებობას ვერ შეირჩენს, თუ ხალხი მას არ ენდობა და ამ თანამდებობის ღირსად არა სთვლის.

ასეთ სახელმწიფოში საკმარისია რომელიმე პოლიციელმა ჩაიდინოს უკანონობა და შეავიწროვოს მცხოვრები,—ამაზე პარლამენტში ატყდება ლაპარაკი და მინისტრი, თავი თუ ვერ იმართლა, იძულებული იქმნება სამსახურიდან გადადგეს, რადგანაც პარლამენტი მას უნდობლობას გამოუცხადებს და ნდობა-დაკარგული მინისტრი ან მოხელე სამსახურში ვეღარ დარჩება... სახელმწიფოში ხალხის გაბატონებას ყველგან ასეთი მდგომარეობა მოჰყვება...

სწორედ ამიტომ არის, რომ შირინკინისთანა კაცებს ეშინიათ ხალხის გაბატონებისა. ისინი თავიანთ სამსახურის დროს არ დაეძებენ ხალხის ნდობას და მხოლოდ უფროსების გულის მოგებას ცდილობენ, მათი უფროსები კიდევ თავიანთ უფროსებს შესცქერიან თვალში და ამნაირად სახელმწიფო მოხელეთა ჯაჭვი ადის უმაღლეს მთავრობამდის, რომელიც თავის მოქმედებაში ხშირად ისევ პირად ანგარიშებს მისდევს, დაახლოვებულ პირთა სარგებლობას, და ისეთ საქმეებსაც ეპოტინება, რომელიც ხალხისათვის არასასურველი და ხშირად საზარალოა.

არავის დავიწყებული არა აქვს ის საშინელი რეჟიმი, რომელიც რუსეთში თვითმპყრობელობის ტახტს ამაგრებდა და რომელმაც მრავალი საუკეთესო მამულიშვილი იმსხვერპლა. ხალხი ხედავდა ჩინოვნიკების ძალმომრეობას, მთავრობის მიერ ხალხის დაბეჩავებას, ხალხი მშიერი რჩებოდა, როდესაც მთავრობა უსაქმურ და უვარგის მოხელეებს და არა-მოხელეებსაც აუარებელ ფულს აძლევდა ჯამაგირად, პენსიებად და საჩუქრებად, ხალხი ხედავდა, როგორ ჰყვლეფავდნენ მას და მასში როგორ სპობდნენ ყოველსავე ღირსებას, ხალხმა იცოდა კიდეც, ვინ იყო მისი მტერი და ყველა ამ ბოროტ-მოქმედების ჩამდენი, მაგრამ ხმას ვერ იღებდა,—მას უფლება არა ჰქონდა მოპოვებული სახელმწიფო საქმეთა მართვასა და გამგეობაში გარეულიყო.

მთავრობა და მისი ჩინოვნიკები ხედავდნენ, რომ ხალხი მათ წყევლა-კრულვით იხსენიებდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგანაც ხალხის ნდობასა თუ უნდობლობას მათთვის არავითარი საგრძნობელი მნიშვნელობა არა ჰქონია.

ამ ზნეს შეჩვეული სახელმწიფო მოხელენი დღესაც იქცევიან ისე, როგორც წინეთ ყოფილან ჩვეული, თუმცა, მათივავე სიტყვით, 17 ოქტომბრის მანიფესტმა ხალხს სახელმწიფოში ისეთივე მნიშვნელობა მისცა, როგორიც მას დასავლეთ ევროპაში აქვს მინიჭებული. დღესაც კიდევ ეს მოხელენი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ხალხის აზრს და გულდამშვიდებულად რჩებიან თავიანთ სამსახურში, როდესაც ხალხი მათ აშკარად ეუბნება: აღარ გვინდიხარ, ჩამოგვშორდიო; გულდამშვიდებით განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას, რომელსაც ხალხი ზიზღით იხსენიებს, და როდესაც საზოგადოება მათ ნამოქმედარში პასუხსა სთხოვს, ისინი ან სულ გაჩუმებულნი არიან, ან, ხმას თუ იღებენ, მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი ბოროტმოქმედება ხალხს გადააბრალონ. გაიხსენეთ შირინკინის განცხადება, რომელიც ამას წინეთ ჩვენც გვქონდა გადმობეჭდილი და რომელშიაც იგი თავის გამართლებას სცდილობს. ყველასთვის, ვისაც წაუკითხავს ეს „გამართლება“ ცხადია, რომ შირინკინმა თავი ვერ გაიმართლა, რადგან, მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, მას დიდძალი ჯამაგირი ეძლეოდეს მხოლოდ იმისთვის, რომ იგი უსაქმოდ იჯდეს და არაფერს საქმეში არ ერეოდეს, როდესაც მისი სახელით ხოცვა-ჟლეტაა გამართული და როდესაც საზოგადოება მას ერთხმად აბრალებდა ამ ხოცვა-ჟლეტის მოწყობას.

ჩვენში საკონსტიტუციო წესწყობილება რომ ყოფილიყო შემოღებული, შირინკინისთანა გამართლება ხალხის წარმომადგენლებს ვერ დააკმაყოფილებდა და შირინკინი იძულებული შეიქმნებოდა სამსახურისათვის თავი დაენებებია, რადგანაც ხალხისაგან უნდობლობის გამოცხადებით მის უფლებას ზნეობრივი საფუძველი მოეცლებოდა.

ჩვენში საკონსტიტუციო წესწყობილება არ არსებობს, მაგრამ ხალხი მაინც აზრებს და ერთხმად უცხადებს უნდობლობას, როგორც შირინკინს, ისე ყველა მათ, ვინც, ასე თუ ისე, გახვეულია ხალხის დამონების ან ამოჟლეტის საქმეში, ან ვინც მხოლოდ ჯამაგირის მიღებას კმარობდა და არავითარ ზომებს არ იღებდა იმისათვის, რომ თვითონ აეცილებინა ხალხისთვის საშინელი უბედურება.

უნდობლობას უცხადებს და ეს უნდობლობა მათთვის საეჭვო არ არის. უნდობლობას უცხადებს და ამით მათ უფლებრიანობას განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს. მათი სამსახურში დარჩენა ხალხის გარკვეულ სურვილების აშკარად აგდება არის, მათი სამსახურში დარჩენა ხალხის უყურადღებოდ დატოვებაა, ხალხის შეურაცხყოფაა, და ასევე შეურაცხყოფენ ხალხს ყველა ისინი, ვინც ამათ ხელს აფარებენ და სამსახურში დარჩენის ნებას აძლევენ და ხალხის ფულს ჯამაგირად ურიგებენ იმ მოხელეებს, რომელნიც ხალხს მოხელეებად არ უნდა.

სამსახურში ამათი დარჩენა მხოლოდ ერთი ზედმეტი საბუთი არის იმისი, რომ დღეს კიდევ მმართველი წრეები მხოლოდ თავიანთ თავს, და არა

ხალხს, სთვლიან სახელმწიფოს ბატონად, რომ მათ დიდის ზეიმით გამოცხადებული და შემდეგ მათგანვე ხალხის სისხლით შეღებილი თავისუფლება მხოლოდ ხალხის დასაბრმავებლად უნდოდათ და თავის პირად ბატონობის განამტკიცებლად.

კ. ხ.

ხულიგანები იღვიძებენ

ბნელ ძალებს დღევანდელი მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევს. ხალხის მიერ მოპოვებული თავისუფლება მათ ისეთის სისასტიკით სცემს თვალში, რომ თავიანთ მყრალ ბუნაგში ველარ მოუსვენიათ. მათ კარგად ესმით, რომ ცხოვრება ნიადაგს აცლის, ხალხის სრული გამარჯვება მათი საუკუნო სიკვდილი იქნება. ძველ წყობილებით ჩასაზრდოებელი უთვალავი დაცემული ხალხი დღეს ხედავს, რომ მათ პარპაშობას ბოლო ეღება. ხალხის გაყვლეფა, ქურდობა, ავაზაკობა, მექრთამეობა—ველარ იხეირებს და მაშ მათი არსებობაც შეუძლებელი გახდება. მათი საუკეთესო მოკავშირე და მფარველი დღეს ხალხის ძალას გზას უთმობს და ამით თავის ბნელ მხედრობასაც მშრალზე სტოვებს.

თქმა არ უნდა, წყვდიადის შვილნი ასე ადვილად არ გამოეთხოვებიან თავის წარსულს, როცა მეფობდნენ ისინი, ხოლო ხალხი უუფლებობით შებუთული მათ წინაამდეგ უძლური იყო. და აი ჩვენ თვალწინ იწყება ახალი პროვოკატორული მოქმედება: აქ რევოლვერს ცლიან, იქ პეტარდას აფეთქებენ. მიზანი? მხოლოდ ერთია—ხელ-ახლა გამოიწვიონ ხალხის შეტაკება, ხელახლა დაღვარონ სისხლი და სამხედრო წესები მეორედ შემოაღებინონ.

ეს მდგომარეობა მათთვის, ამ ბნელი ძალებისათვის, ნამდვილი სანატრელია. სინათლე მათ ფრთებს უხრუკავს. ეს დღეს ყველასთვის ცხადია. და ამიტომაც საჭიროა ახლავე მივიღოთ ყოველი ზომა, რომ ხულიგან-პროვოკატორების გამოთარეშებას ბოლო მოვუღოთ.

სამწუხაროდ, ამ მხრივ ცუდ მდგომარეობაში ვართ. ერთად-ერთი დაწესებულება, რომელიც ვალდებულია იმოქმედოს ყველა მოქალაქეთა სახელით, არის ქალაქის საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანო—გამგეობა. საბჭოს ისეთ მდგომარეობაში, როგორიც დღეს ქალაქია, როცა მოსალოდნელია ყოველ წუთში ხალხის მტრებმა სისხლის ღვრა გამოიწვიონ, არც დღე არც ღამე არ უნდა ეძინოს, ის კვალდაკვალ უნდა მისდევდეს ყოველ ხულიგანურ მოქმედებას, ამჟღავნებდეს მას და ამნაირად სათავეშივე აქრობდეს ხალხის მტერთა წადილს. როგორც მკითხველი დღეს ჩვენი გაზეთიდან გაიგებს, მოქალაქეთ კიდეც მიუმართავთ ქალაქის მოურავისათვის, მიაქციეთ ყურადღება ხულიგანურ მოქმედებას, საქმე გამოიძიეთო.

ეს სწორეთ სამართლიანი და საყურადღებო მოთხოვნა არის. მოურავს თავის-თავათაც უნდა ეკისრა ეს საქმე, მით უმეტესად მაშინ, როცა მოქალაქეებმა სთხოვეს. მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, მოურავმა პოლიციაში გაგზავნა მოქალაქეთა მოთხოვნა. აი, სწორედ ასე უნდა,—არც საქმე გააკეთოთ და მოქალაქეთაც დასცინოთ.

განა მათ, ვინც თქვენ მოგმართეს, არ იცოდნენ პოლიციის არსებობა? და თუ იმათ თქვენ მოგმართეს და არა პოლიციას, ამისთვის მათ თავისი ყოვლად შესაწყნარებელი და თქვენთვისაც კარგად ცნობილი საფუძველი ჰქონდათ. თქვენი საქციელი ამ შემთხვევაში მხოლოდ მოქალაქეთა დაცინვაა. იგი კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ ქალაქს დღეს პატრონი არა ჰყავს. მისი ცრუ პატრონი კი მხოლოდ თვალს გვიხვევს. მოქალაქეთა ამგვარ გამოურკვეველ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია. თუ ასე გაგრძელდა საქმე, ვინ იცის, რა განსაცდელი მოგველის. ამის მაგალითი უკვე თვალ-წინ გვაქვს. წვრილმან შემთხვევებს გარდა, ორჯერ მოხდა ტფილისში საოცარი ხოცვა-ჟლეტა. არც ერთჯერ ქალაქის საბჭო არ ცდილა საქმის გარემოება გამოემჟღავნებინა, ესარგებლა მოქალაქეთა დახმარებით, მოეწვია ყველანი და საქმე საბუთიანად გამოერკვია.

დღესაც ამგვარ მდგომარეობაში ვართ, ხულიგანური ვერაგობა ხშირდება, ხოლო მოქალაქენი უპატრონოდ, უორგანიზაციოდ არიან ამ ბნელ ძალის საბრძოლველად. ჩვენის აზრით, საჭიროა დაუყოვნებლივ შედგეს მოქალაქეთა კომიტეტი, რომელიც საზოგადოებრივ მშვიდობიანობის საქმეს მოაწყობს.

გ.

მეფის მთავრობა და სახალხო განათლება

„სწავლა სინათლეა, უსწავლელობა—სიბნელეო“—ამბობს ხალხური ანდაზა. დღევანდელი მთავრობა გაბატონებულ კლასთა ინტერესების გამომხატველია, და ამიტომ არც საკვირველია, რომ იგი ხალხის განათლების მტერი იყოს. ასეთია მთავრობა არა მარტო ბარბაროსულ ქვეყნებში—დემოკრატიულ სახელმწიფოებშიაც. მართალია, ამერიკასა და ევროპაში საყოველთაო სავალდებულო სწავლებაა შემოღებული, მაგრამ იქ ხშირად სწავლების მიზანი ჯარის კაცის და ქარხნის მუშის მომზადებაა და არა პიროვნების ყოველმხრივი განვითარება.

წერა-კითხვის ცოდნა კიდევ არ ნიშნავს განათლებას. გერმანიაში, მაგალითად, თითქმის ყველამ იცის წერა-კითხვა, მაგრამ აი რას ამბობს გერმანელი მუშების შესახებ ერთი მათი ბელადთაგანი—ათას მუშიდან შეიძლება ერთი იპოვოთ ისეთი, რომელსაც თავისი აზრების წერილობითი გადმოცემა შეეძლოსო; იმათი რიცხვიც ძლიერ ცოტაა, ვინც გარკვევით კითხვა იცისო. რაც უნდა იყოს, ამერიკის და ევროპის მთავრობა, რომელიც ბურჟუაზიის ხელშია, იმდენად მაინც ცდილობს ხალხის განათლებას, რამდენადაც ეს საზოგადოებრივ განვითარებისთვის არის საჭირო. გარდა ამისა, საზოგადოების ყველა ჯგუფს შეუძლია, იურიდიულად მაინც, თავის განათლების საქმე შესაფერად მოაწყოს. სულ სხვაა რუსეთში. აქ მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ხალხის განათლებას ხელი შეუშალოს. ვინ არ იცის, თუ რამდენი წვალებაა საჭირო, რომ სკოლის ან სამკითხველოს გახსნის ნება-რთვა მიიღოთ. და ეს მარტო ჩვენში კი არა, შიდა გუბერნიებშიაც. ყურადღების ღირსია აგრეთვე ერთი გარემოება. რაც ხანი გადის, მთავრობა მეტ სისასტიკეს იჩენს სახალხო განათლების შევიწროების საქმეში.

საინტერესოა გავიგოთ, რამდენს ხარჯავს რუსეთი სახალხო განათლებაზე. 1898 წელს სახალხო განათლებაზე, ე. ი. დაბალი სკოლების შესანახად, დახარჯულა ორმოც მილიონ ნახევარი (40.616,149) მანათი. ეს რიცხვი თავის თავად საკმაოდ დიდია, მაგრამ რუსეთში 140—150 მილიონამდე მცხოვრები ითვლება, ასე რომ, თითო მცხოვრებზე დახარჯულა 30 კაპეიკამდე. ევროპაში ამაზე 12—20-ჯერ მეტი იხარჯება, იაპონიაში შვიდჯერ მეტი (თითო მცხოვრებზე ორი მანათი), ფინლანდიაში—ხუთჯერ მეტი! სახალხო განათლების ცოტად თუ ბევრად რიგიანი მოწყობა 500—600 მილიონ მანათს მოითხოვდა, მაგრამ მაშინ რაღა ეშველებოდა ჯარს და პოლიციას, რომელიც რუსეთში ასე ძლიერია. საინტერესოა, რომ იმ ორმოც მილიონ ნახევრიდან, რომელიც 1898 წელს სახალხო განათლებაზე დახარჯულა, ხაზინას მხოლოდ რვა მილიონ ნახევარი (21,3%) გადაუდვია, ერობებს დაუხარჯავთ თითქმის ცხრა მილიონი (21,8%), სოფლის საზოგადოებებს — შვიდ მილიონზე ცოტა მეტი (18%), ქალაქებს — ხუთ მილიონ ნახევარი (13,5%) და სხვ. გამოდის, რომ მთავრობას საზოგადო ჯამის მხოლოდ მეხუთედი დაუხარჯავს, ასე გასინჯეთ, ერობებს მეტი დაუხარჯავთ, ვინემ მთავრობას, და ეს მაშინ, როცა ამ უკანასკნელის წლიური შემოსავალი ორ მილიარდ მანეთს უდრის! სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა თითო მცხოვრებს წლიურად ათ მანათს ახდევინებს და მის განათლებაზე ექვს კაპეიკს ხარჯავს.

მთავრობა ერობებზე ნაკლებს ხარჯავს, ქალაქები სოფლის საზოგადოებებზე ნაკლებს, თუმცა ქალაქებს გაცილებით მეტი შემოსავალი აქვთ, ვინემ სოფლებს.

რა არის ამის მიზეზი? ისევ მთავრობის კანონი, რომელიც საარჩევნო უფლებას მხოლოდ მდიდრებს აძლევს. მდიდრებს კი სახალხო განათლება ფეხებზე ჰკიდიათ, მათი შვილები ხომ გიმნაზიებში სწავლობენ! მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. იმ ორმოც მილიონ ნახევრიდან, რომელიც სახალხო სკოლებზე დახარჯულა, ათი მილიონი სამრევლო-საეკლესიო სკოლებზე წასულა, ე. ი. 30 მილიონი დახარჯულა ხალხის განათლებაზე, ხოლო 10 მილიონი—ხალხის დასაბრმავებლად. რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლები ხალხის ტვინის გასალაყებლად არიან დაარსებულნი, ამას ყველა დაინახავს, ვინც ამ სკოლებს გაიცნობს. სასწავლო საგნების რიცხვში უმთავრესი ადგილი სამღვთო სჯულს, საეკლესიო სლავიანურ ენას და საეკლესიო გალობას უკავია. საერო საგნებსაც იმ მიზნით და ისეთი მეტოდით ასწავლიან, რომ ბავშვს მართლმადიდებელ ეკლესიის სიყვარული და არსებულ მთავრობის მორჩილება—შიში ჩაუნერგონ გულში. ამ სკოლების სულის-ჩამდგმელი სინოდის ობერ-პროკურორი პირდაპირ ამბობს, რომ მთავრობის მიზანი ბავშვების ,,რელიგიურ-ზნეობრივი'' აღზრდაა. ასეთი სკოლებისთვის მომზადებული მასწავლებლები მეტი ბარგია; პირიქით, თურმე, რაც ნაკლები ცოდნა ექნება მასწავლებელს, მით უმეტესი ყოფილა. მოუმზადებელი მასწავლებელიო,—ამბობს პობედონოსცევი,—უფრო კარგად წაიყვანს სკოლის საქმეს, საჭიროა მხოლოდ საქმეს მუყაითად ეკიდებოდეს და მთავრობის მორჩილი იყოსო.

ეს სურვილი არ დარჩენილა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. თვითონ პობედონოსცევის ანგარიშიდანა სჩანს, რომ მასწავლებლების 38 პროცენტი, ეგრედ წოდებული, „უუფლებონი“ ყოფილან. ეს უმაღლეს ტიპის სამრევლო სკოლებში! რაც შეეხება საზოგადოდ საეკლესიო სკოლებს, ,,საეპარქიო უწყებებიდან'' ჩვენ ვტყობილობთ, რომ ვოლინის გუბერნიაში „უუფლებონი'' 68% შეადგენენ, მოგილოვისაში—75 პროცენტს, ხოლო პოდოლიისაში 96 პროცენტს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ასეთ სკოლებში მასწავლებლობის უფლების მისაღებად საკმაოა პირველ-დაწყებითი ან საქალაქო სასწავლებლის კურსის დასრულება, მაშინ ადვილად გავიგებთ, თუ რა ცოდნის მქონე უნდა იყოს „უუფლებო“ მასწავლებელი. ასეთ მასწავლებლებს ჯამაგირიც შესაფერი ეძლევათ. ამიტომ, თუ არ უვიცი და სხვა საქმისთვის გამოუსადეგი, ასეთი სკოლის მასწავლებლობას არავინ არ იკისრებს. რასაკვირველია, რომ ასეთ სოლაში ბავშვმა წერა-კითხვაც კი ვერ ისწავლოს.

ამაზე სასულიერო მთავრობა არც კი იწუხებს თავს. საკმაოა გადაიკითხოთ სხვადასხვაგვარი ანგარიშები და მოხსენებანი, რომ ამაში ნათლად დარწმუნდეთ. ანგარიში დაწვრილებით ეხება იმას, თუ რომელი სკოლის ბავშვებმა როგორ ისახელეს თავი საეკლესიო გალობაში, სად რამდენი მგალობელთა გუნდია და სხვა. წერა-კითხვის და ანგარიშის ცოდნაზე ანგარიშში ერთ სიტყვასაც ვერ შეხვდებით. აი ასეთი სკოლების შესანახად გადაუდვია მთავრობას 1898 წელს $8^3/_4$ მილიონიდან მთელი ხუთი მილიონი, ე. ი. სამ მილიონ ნახევარი—საერო სკოლების შესანახად და ხუთი მილიონი—საეკლესიო სკოლებისთვის. მთავრობის დასახასიათებლად საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მთავრობამ ალექსანდრე მესამის მეფობიდან მიაქცია საეკლესიო სკოლებს განსაკუთრებული ყურადღება და ამ მოკლე ხანში მის მიერ გადადებულმა თანხამ თითქმის ასჯერ იმატა. 1885 წელს მთავრობას ამ სკოლებზე 55 ათასი მანათი დაუხარჯავს, 1895 წელს—175 ათასი, 1898 წელს ეს რიცხვი ხუთ მილიონამდე ადის, ხოლო 1900 წელს—ექვს მილიონამდე! ამავ ხნის განმავლობაში საერო სკოლების შესანახად გადადებულმა თანხამ მხოლოდ ორ ნახევარჯერ იმატა. ამ ჟამად საერო სკოლებზე მთავრობა დაახლოვებით ოთხ მილიონ მანეთს ხარჯავს, ხოლო საეკლესიოზე—ექვს მილიონს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მთავრობა პირდაპირ ხელს უშლის იმ დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელნიც სკოლების დაარსებას ცდილობენ. რუსეთის შიდა გუბერნიებში სკოლების დაარსების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ერობებს. 1880 წლამდის ერობები წლიურად 800 სკოლას აარსებდნენ საშუალო რიცხვით, ამ წლის შემდეგ კი, მთავრობის წყალობით, ოთხსას ძლივს აარსებენ. ამას გარდა, მთავრობამ გააძლიერა ინსპექციის თვითნებობა, ინსპექტორებს თითქმის ჟანდარმების უფლება მიანიჭა, კარგი სახელმძღვანელოების ნაცვლად უვარგისი შემოიღო, შეავიწროვა პოლონური, ქართული და სხვა „განაპირა“ ხალხის ენები, გააძლიერა სამღვთო სჯული, შემოიღო სლავიანური ენის სწავლება და საეკლესიო გალობა. ერთი სიტყვით, საერო სკოლებიც საეკლესიო სკოლებს, ან, როგორც ხალხი უწოდებს, „სამლოცველოებს“ დაამსგავსა.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, საეკლესიოსთან შედარებით საერო სკოლა ცოტა რამეს მაინც იძლევა, და აი, მთავრობა შეუდგა მის დევნას... დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მთელი სახალხო განათლების საქმე სამღვდელოებისთვის უნდა გადაეცათ. მაგრამ ასე აშკარად მოქმედება მთავრობისთვის ერთობ სახიფათო იყო და ამიტომ მან არაპირდაპირი გზით მოქმედება არჩია.

საერო სკოლების პირდაპირ დახურვა შეუძლებელი იყო. ამიტომ მან აკრძალა საერო სკოლის დაარსება იმ სოფლებში, სადაც საეკლესიო უკვე არსებობდა. ამასთან მთავრობა არ დაეძებდა, მართლა არსებობდა დასახელებულ სოფელში საეკლესიო სკოლა თუ არა. საქმე ის არის, რომ სასულიერო მთავრობა ავალებს მღვდელს სკოლა იქონიოს და მღვდელიც ხსნის სკოლას... ე. ი. მთავრობას მოხსენების უგზავნის, შენი ბრძანება სისწორით აგასრულეო. ასეთი თვალთმაქცობა არა ერთხელ გამომჟღავნებულა. იაკუტის გუბერნიაში ერთხელ გუბერნატორს საეკლესიო სკოლის მოსწავლეები გამოუცდია და ძლიერ კმაყოფილი დარჩენილა, მაგრამ... ნუ იტყვით, იქ სკოლა თურმე სრულებით არა ყოფილა, ბავშვები თურმე იქაურ „პოლიტიკოსებთან“ სწავლობდნენ სახლებში; გუბერნატორის მოსატყუებლად შეუგროვებია ისინი ადგილობრივ მთავრობას და არ-არსებულ სკოლის ბავშვებად მოუნათლავს.

ახლა გავიგოთ, რამდენ მცხოვრებზე მოდის თითო სკოლა ან მოსწავლე. 1899 წლის პირველ იანვარს რუსეთში 78,699 სახალხო სკოლა იყო, 4.203,246 მოსწავლით. თითო სკოლა მოდიოდა 237 ჩორსო ვერსზე და 1652 მცხოვრებზე, რაც შეადგენს მცხოვრებლების 3,2%. მეთხმოცდა-ათე წლების დასაწყისში ამერიკის მცხოვრებლების 22,36% სწავლობდა, იაპონიის—7,5% ბულგარიის—5%. ეს ოფიციალური ანგარიშით. საქმის ნამდვილი მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია. ყოველ შემთხვევაში სკოლების დასახელებულ რიცხვს უნდა გამოვაკლოთ 40028—ეს არის სამრევლო-საეკლესიო სკოლების რიცხვი— და მოსწავლეების რიცხვს—1,476,124—დაგვრჩება 37046 საერო სკოლა და 2650058 მოსწავლე. თითო სკოლა მოდის 5503 კაცზე, სწავლობს მცხოვრებლების მხოლოდ 2%.

ამ ციფრებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ საეკლესიო სკოლები რიცხვით საერო სკოლებზე მეტია, მაგრამ მოსწავლეების რიცხვი მათში გაცილებით ნაკლებია. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ხალხი რუსეთში საერო სკოლას უფრო თანაუგრძნობს, ვინემ „სამლოცველოს“, მაგრამ მთავრობა ამას ყურადღებას არ აქცევს.

ასეთ მდგომარეობაშია რუსეთის მოზარდ თაობის აღზრდის საქმე. დიდებისთვის დანიშნულია საკვირაო სკოლები. ასეთი სკოლები პირველად ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ დააარსეს. რუსეთის ჩამორჩენა ყველასათვის აშკარა იყო, და ენერგიულად შეუდგნენ დანაკლისის აღდგენას. რუსეთის ინტელიგენცია დიდი ენერგიით შეუდგა ამ ახალ საქმეს. პირველ ხანებში მთავრობაც თანაუგრძნობდა, მაგრამ მალე დაიხია უკან. ერთ მშვენიერ დღეს ყველა საკვირაო სკოლები, რიცხვით 318, დახურულ იქმნა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ მესამე განყოფილებამ (იგივე პოლიციის დეპარტამენტი) პეტერბურგის ერთ-ერთ საკვირაო სკოლაში ორი პოლიტიკურად „არა საიმედო“ პირი აღმოაჩინა მასწავლებელთა რიცხვში... ამის შემდეგ ამ სკოლების ბედ-იღბალი რაღაც კომისიას მიანდვეს გადასაწყვეტად. კომისიამ მათი პროგრამმა საბავშვო სკოლების პროგრამმას გაუთანასწორა და მათი მოქმედების თვალ-ყურის დევნება ადმინისტრაციას მიანდო. ამას ყოვლივე ხალისი უნდა დაეკარგა კერძო პირებისთვის; მაგრამ მთავრობა მოტყუვდა, საკვირაო სკოლები მაინც დააარსეს. ამიტომ 1891 წელს მთავრობამ უბრალო ცირკულიარით გააუქმა საკვირაო სკოლების შესახებ არსებული კანონი და ეს სკოლები სამღვდელოების განკარგულებაში გადაიდნენ. ამის საბუთად მთავრობის ცირკულიარი შემდეგ გარემოებას ასახელებს: საკვირაო სკოლებში უმთავრესად ქალაქის მუშები და ხელოსნები სწავლობენ და ამიტომ საჭიროა, რომ მათი განვითარება ზნეობრივ-რელიგიური იყოსო. ამჟამად რუსეთში საკვირაო სკოლების რიცხვი ნაკლებია, ვინემ 1862 წელს იყო. თითო საკვირაო სკოლა მოდის 100 ათას მცხოვრებზე. ყურადღების ღირსია შემდეგი კურიოზი; საკვირაო სკოლებზე რუსეთის მთავრობა ხარჯავს წლიურად სულ 1480 მანეთს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც „ოტსტავკაში“ გამოსული პოდპოლკოვნიკი ღებულობს. სკოლის მაგიერობა, მთავრობის სიტყვით, ყაზარმას უნდა გაეწია, იქ უნდა ესწავლებინათ წერაკითხვა იმათთვის, ვინც ეს სკოლის შემწეობით ვერ მოახერხა. თუ რამდენად მიაღწია მთავრობამ ამ მიზანს, ეს უკვე ვიცით: ტყვე რუს-სალდათებს, როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, იაპონელებმა დაუნიშნეს რუსული ანბანის მასწავლებლები.

დაგვრჩა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები—დიდებისთვის და საქარხნო სკოლები.

სამინისტროს გამოანგარიშებით, 1898 წელს მთელ რუსეთში 3934 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ითვლებოდა, ასე რომ, თითო ბიბლიოთეკა 32 ათას მცხოვრებზე მოდის. ასეთი ბიბლიოთეკები უმთავრესად წმინდანების ცხოვრების აღწერით არის სავსე, მთავრობას მათთვის განსაკუთრებული კატალოგი აქვს.

ქარხანაში მომუშავე ბავშვების განათლება კიდევ უფრო ცუდ პირობებშია ჩაყენებული. როგორც ვიცით, არსებული საქარხნო კანონმდებლობა არ ავალებს მექარხნეს სკოლა იქონიოს, ეს დამოკიდებულია მექარხნის სურვილზე, და უკანასკნელიც, რასაკვირველია, ზედმეტ ხარჯებს არ გასწევს. რადგანაც რუსეთში ბევრი ფაბრიკა-ქარხანა ქალაქებს გარედაა აშენებული, ამიტომ მუშების შვილები და საზოგადოდ ქარხნებში მომუშავე ბავშვები სკოლას სრულიად მოწყვეტილნი არიან. ოფიციალურის ანგარიშით, მუშათა რიცხვი რუსეთში ორი მილიონი და ასი-ათასია, ნამდვილად კი გაცილებით მეტი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მთავრობის ანგარიშიც რომ მივიღოთ—შედგება ოთხ მილიონამდის ფაბრიკა-ქარხნების რაიონებში მცხოვრებთა რიცხვი. საქარხნო სკოლების რიცხვი კი 446-მდე ადის, ასე რომ, თითო სკოლა 10 ათას მუშაზე მოდის, ასეთ სკოლებში დადის მცხოვრებლების $1^1/_2$%. ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, რამდენი ბავშვი მუშაობს ამ ჟამად რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებში, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ, საქარხნო ინსპექტორების ანგარიშით, 1885 წელს ბავშვები შეადგენდნენ ორ პროცენტს, ასე რომ, ამ ჟამად 50 ათასი ბავშვი მაინც იქნება ფაბრიკა-ქარხნებში. ამათგან მხოლოდ ერთი მეათედი დადის სკოლაში, დანარჩენები სრულიად უსწავლელნი რჩებიან.

კ—

რა მოგველის?

ჩვენს თაობას მეტად იშვიათი და ფრიად სახიფათო ბედი ჰხვდა წილად,—იგია მოწმე და თანამოზიარე ისეთის რევოლუციისა, რომელიც მთელ კაცობრიობის ცხოვრებას ძირიან-ფესვიანად არყევს, რომელიც ძველ რეჟიმის ურიცხვ დაბრკოლების ნაფლეთებს ატივტივებს თავის სტიქიურ ტალღებზე. რევოლუცია გზას უკვალავს დიდებულსა და ძლევამოსილ ხალხოსნურ შემოქმედებას, მის განვითარებას. ეს უკანასკნელი და უდიდესი რევოლუციაა, ბურჟუაზიულ ელფერით გარემოცული. მის გრგვინვაში მკაფიოდ გაისმის დიდებული და ცხოველმყოფელი ქუჩა-ქუხილის ხმა, რომელიც მედგრად დაატყდება კაპიტალისტურ წეს-წყობილებას, შემუსრავს და გაანადგურებს კაპიტალის ბატონობას და მთელს კაცობრიობას განაახლებს.

რევოლუციამ, ეს-ეს არის, იფეთქა,—ეს მხოლოდ დასაწყისია დასასრულისა. ჯერ კიდევ ხალხის მიყურსებულ გულში მიმაბულია ძლიერი რევოლუციონური ძალ-ღონე, რომელიც ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე დღემდის გამომჟღავნებული. მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატმა ასწია წითელი დროშა და პირველი ნაბიჯი სახელოვან გამარჯვებით დააგვირგვინა. მაგრამ თვითონ ამ კლასსაც, რომელიც ჩაჭედილია კაპიტალის რკინის სალტეებში, ჯერ სავსებით არ გამოუჩენია თავისი ძლევა-მოსილობა. მან გამოსჭედა მხოლოდ ერთი ახალი იარაღი ბრძოლისა—საერთო გაფიცვა. მის სამჭედლოში ჯერ გაცხარებული მუშაობაა უფრო ბასრ იარაღის დასამზადებლად. ჯერ არ დამდგარა დრო, როდესაც მთელი რუსეთის პროლეტარიატი, შეგნებული და მჭიდროდ შეკავშირებული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ასტეხს. ეს დროც ახლოა, და მაშინ ვაი ხალხის ორგულთ, ვაი მათ, ვინც მას წინ გადაეღობება, ვინც შეეცდება შეაფერხოს მისი ძლევა-მოსილი მსვლელობა თავისუფლებისაკენ!

სოფელმაც აიწია თავი,—რუსეთის ას მილიონნიანმა გლეხობამ ხმა აღიმაღლა და გარკვევით აცხადებს: „თავისუფლება და მიწა!“ არავითარ მთავრობის ხრიკებს არ ძალუძს ჩაჰხშოს ეს ხალხის ხმა, არავითარი „სანამცეცო მოწყალება“ ვერ დააკმაყოფილებს დღეს გლეხობას,—იგი მოითხოვს ყველაფერს ერთად. ესაა თავდები რევოლუციის ძლევამოსილ, შეუჩერებელ სრბოლისა.

დაგვრჩა ჯარი. მაგრამ დღეს შიდა რუსეთშიაც ისმის მისი დრტვინვა, და ის ჯარი, რომელიც გუშინ „დასამშვიდებლად“ გამოჰყავდათ, დღეს იგიც „ჯანყობს“ და თვითონ გახდარა „დასამშვიდებელი“. ხალხს ეგულება შორეულ მანჯურიაში თავისი სისხლ-ხორცი მოძმეები, შვიდასი ათასი ჯარის კაცი. იმათ იწვნიეს მთავრობის ყოველგვარი ვერაგობა, მთავრობის მეოხებით იმათ განიცადეს შემაძრწუნებელი საშინელება და სირცხვილი დამცირებისა. იმათ იგემეს და თავის თავზე გამოსცადეს... მალე მობრუნდებიან ისინიც, და მაშინ ვაი მთავრობას, რომელიც აბუჩად იგდებს ხალხის გულის წყრომას და „თეთრ კბილს გვაჩვენებს და შავს გულს კი ჰფარავს“. მართალია, გზა-დაბნეული მთავრობა ხავსს ეჭიდება,—ქვეყნის ნაძირალთ, ბნელ ძალებს იკრებს გარშემო და უკანასკნელ, ხელ-ჩართულ ბრძოლისათვის სამზადისშია, მაგრამ ეს უკანასკნელი შებრძოლებაა მომაკვდავისა. გახრწნილ რეჟიმს სიკვდილის განაჩენი ამ ბრბომ, ამ შავბნელმა, უბედურმა, ბრმა ბრბომ მიუსაჯა.

მაგრამ დღევანდელი, სისხლში მოსვრილი, რევოლუცია მთლად დაამსხვრევს ძველს რუსეთს, და განახლებულ ხალხს მსოფლიო პროგრესის ფერხულში ჩააბამს. და აი, იქ გამობრწყინდება დიდებული მზე სოციალიზმისა... („ნოვ. ჟიზნ“).

შორეულ აღმოსავლეთი ჰქუხს

ვლადივოსტოკი გაანადგურეს, მგრამ იაპონელებმა კი არა, არამედ თვითონ რუსებმა. რუსეთის ბიუროკრატიისთვის ეს კარგი გაკვეთილია. 6 ნოემბერს დეპეშით გვატყობინებდნენ, ვითომ ჯარი მშვიდდება, რაგან ლინევიჩმა 5000 სათადარიგო ჯარის კაცი შუა რუსეთში—სამშობლოში გამოჰგზავნა და ამურის ოლქის მცხოვრებნიც შინ დააბრუნოო. მაგრამ ეს ახალი ხერხიც—როგორც ბიუროკრატიის ყველა განკარგულება—დაგვიანებულია. იაპონიიდან მოსული ტყვეები ვლადივოსტოკთან აჯანყდნენ და აფიცრები დახოცეს. პეტერბურგში დეპეშა მიუღიათ, მანჯურიის ჯარიც ღელავსო. ლინევიჩს ჯარში 160 აგიტატორი აღმოუჩენია და მათი დაპატიმრების ბრძანება მიუცია. რაც ვლადივოსტოკში მოხდა, განმეორდება ხარბინსა და მთელს მანჯურიაშიაც, სადაც თავი მოუყარეს რამდენიმე ასი ათას დავიწყებულ, მშიერსა და მწყურვალ სალდათს.

რუსეთს ისინი დაავიწყდა, მაგრამ იმათ თვითონვე მოინდომეს მოაგონონ რუსეთს, რომ ამ ქვეყანაზე ისინიც არსებობენ. ეს მოგონება სტიქიურია, საშინელია. გენ. ლინევიჩი დაფაცურდა, კანცელარიებში ფუსფუსი დაიწყეს და ბიუროკრატიის მანქანაც აგუგუნდა. მაგრამ რა საჭირო იყო საქმის გაჭიანურება? აგერ, სამი თვეა მას შემდეგ, რაც მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მაგრამ დღემდის ბრძოლის ველიდან სამშობლოში ერთი სალდათიც არ დაუბრუნებიათ. პირიქით, ზავის ჩამოგდების შემდეგ კიდევ რამდენიმე ათასი კაცი მოაშორეს სახლ-კარს, საკუთარ კერას, ცოლშვილს, და შორეულ აღმოსავლეთში გაჰგზავნეს. რად, რისთვის? რას აკეთებს იქ თითქმის ერთი მილიონი ადამიანი? ვინ უნდა დაამშვიდონ? ვინ უნდა დაიპყრან? ვის ემუქრებიან? არავინ არ იცის!

ჯარი დაიძრა და ბიუროკრატიას ჯერ პირველი გაფრთხილება გამოუგზავნა. ნეტა შეუძლიან ჩვენს დავთრებ დაბნეულ ბიუროკრატიას, გაიგოს ეს გაფრთხილება? მაგრამ, აი, მეორე გაფრთხილებაც: ნაგასაკიდან დეპეშით იუწყებიან: „500 რუსი ტყვე ორ გემზე—„ვორონეჟზე“ და „ვლადიმირზე“—დასხეს ვლადივოსტოკში გასაგზავნად. ტყვეებს ღელვება ეტყობათ. აფიცრებმა იაპონელებს დახმარება სთხოვეს. იაპონიის ადმინისტრაციამ „ვორონეჟზე'' პოლიციის აფიცერი და ასი პოლიციელი გაგზავნა. გარდა ამისა, ორივე გემს ვლადივოსტოკამდის ოთხი ნაღმოსანი მიჰყვება. როჟესტვენსკი „ვორონეჟ“-ზეა“.

იაპონიის პოლიციელები რუსეთის სამხედრო გემზე რუს ადმირალსა და იმის აფიცრებს იცავენ და იაპონიის ნაღმოსნებიც რუსეთის სამხედრო გემებს იცავენ... რუსის მატროსებისგან. რას ნიშნავს ეს ამბავი? არაკია, დაცინვაა, თუ მწარე სინამდვილე?

დიაღ, ეს სინამდვილეა! ეს ის სინამდვილეა, რომელმაც სევასტოპოლსა და კრონშტადტში იჩინა თავი. რუსები ტყვეობაში მუშტი-კრივსა, აფიცრების ლანძღვა-გინებასა და თავპირის მტვრევას გადაეჩვივნენ, მაგრამ, ავიდნენ თუ არა საკუთარ გემზე, ისევ ძველ რეჟიმს ჩაუვარდნენ კლანჭებში: დედმამის ლანძღვა, რომელშიაც რუსი აფიცრები სამაგალითოდ არიან დახელოვნებულნი, მუქარა ჩამორჩობისა, დახვრეტისა და ცხვირ-პირში ცემა. ამ რეჟიმს შედეგად ღელვება მოჰყვა, რუსის „მამაცი“ ადმირალი და აფიცრები კი იძულებულნი არიან იმ იაპონელებს სთხოვონ დახმარება, რომელთაც გუშინ განადგურებას უქადდნენ.

ამაზე მეტი სირცხვილი უნდათ მუკდენისა და ცუსიმის „გმირებს“? საქმე იქამდის მივა, რომ გენ. ლინევიჩი და მთელი იმისი შტაბი ან მარშალ ოიამას ბანაკს შეაფარებენ თავს, ან კუროკისას. ან, შეიძლება, ისიც მოხდეს, რომ რუსეთის აფიცრობას რუსეთში გამოაცილებენ შიმოზებითა და ზარბაზნებით შეიარაღებული იაპონელი პოლიციელები, სწორედ ისე, როგორც იაპონიის ნაღმოსნებმა მოაცილეს რუსეთის გემები ვლადივოსტოკში.

იქნება ჯერ დაგვიანებული არ არის! საჭიროა დაჩქარება. მანჯურიის არმია, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გადარჩეს, სათადარიგო ჯარის კაცები ახლავე უნდა დაითხოვონ.

შორეულ აღმოსავლეთმა მძლავრად დაიქუხა, მაგრამ ნეტა გაიგონეს ეს ქუხილი იმათ, ვისაც ის ემუქრება? რუსეთის ხალხს ესმის ეს ქუხილი და თავის ნაწამებ არმიას პასუხს აძლევს: „მესმის! მესმის!“ (ნ. ჟ.).

ახალი ამბავი

გუშინ, 18 ნოემბერს, **ტფილისის პოლიცმეისტერმა ინახულა შეიხ-ულ-ისლამი** და პირველ ნოემბრიდან თვრამეტ ნოემბრამდე ტფილისში დაჭრილთა და მოკლულთა სია წარუდგინა. სულ ასეთი შემთხვევა 16 ყოფილა. ამათ შორის

დაჭრილი და მოკლულია მხოლოდ ოთხი მაჰმადიანი. პოლიცმეისტერმა სთხოვა შეიხ-ულ-ისლამს: რადგან ამ სიიდან ნათლადა სჩანს, რომ ტფილისში სხვა ეროვნების კაცნი უფრო მეტი დაუჭრიათ და მოუკლავთ, ვიდრე მაჰმადიანები, დაარწმუნე თქვენი ხალხი, რომ ტფილისში ბოლო ხანს მაჰმადიანების ხოცვა სრულიადაც არ გახშირებულა, როგორც თვითონ ამბობენო.

◆ ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, სასულიერო სემინარიის პირდაპირ, **კონკამ პეტარდა ააფეთქა**. ახლო-მახლო მაღაზიებისა და სემინარიის ფანჯრები დაიმსხვრა. გაფუჭდა აგრეთვე ელექტრონის ფანრები თვით კონკაში. ასტყდა რევოლვერების ხშირი სროლა. არავინ იცოდა, საიდან ისროდნენ. თავზარდაცემული ხალხი გარბოდა და თანაც ღუღლუღებდა: „რა გვეშველება, 22 ოქტომბერი დაგვიდგაო". ქუჩები სწრაფლ დაცარიელდა. გოლოვინის პროსპექტზე ერთ დუქანში რამოდენიმე დამფრთხალი გოროდოვოი შეხიზნულიყო და ერთმანეთ შორის თათბირობდნენ: რა სიცოცხლეა, ჩვენი სიცოცხლე? ისევ სჯობია, ჩვენ გავიფიცოთ და ქვეყანას შევატყობინოთ, რომ ჩვენ ქალაქს ვემსახურებით და არა მთავრობასაო.

◆ გუშინ, 18 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა თავ. ჩერქეზიშვილმა ტფილისის პოლიცმეისტერს გაუგზავნა **მცხოვრებთა შემდეგი განცხადება**: „ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, სასულიერო სემინარიის შენობასთან, ელექტრონის ტრამვაის ქვეშ, პეტარდა აფეთქდა. აფეთქების შემდეგ მიხეილის პროსპექტზე ორმა უცნობმა რევოლვერების სროლა ასტეხა. ამავე დროს ვიღაცამ, რომელსაც თეთრი ჩოხა ეცვა, სახაზინო თეატრის წინ ორჯელ რევოლვერი გაისროლა. ყველა ეს ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ აქ პროვოკაცია არის. როგორც გადმოგვცეს, მიხეილის პროსპექტზე მსროლელნი დაუჭერიათ. რაც შეეხება სახაზინო თეატრის წინ მსროლელს, ის, სროლის შემდეგ, რევოლვერით ხელში, სასტუმრო „მეტროპოლის" ერთ ნომერში შევიდა. ამის მოწმენი არიან სასტუმროს პატრონი, შვეიცარი და მოსამსახურე ქალი. ჩვენ, ტფილისის მცხოვრებნი, გთხოვთ გამოძიება მოახდინოთ და შედეგი საჯაროდ გამოაცხადოთ".

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს კანტორის **მოხელენი საყოველთაოდ აცხადებენ**, რომ დღევანდელი მათი გაფიცვა გამოწვეულია ბ-ნ დურნოვოსა და სევასტიანოვის ჯიუტობისა გამო, ვინაიდან ამ ძალის მქონეთ შეურაცხჰყვეს პირადი ღირსება თითოეული მოხელისა და 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგაც ადამიანებად არ იცნეს ეს მოხელენი. ამიტომ მთელი ბრალიც მათ ედებათ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი იმედოვნებენ, რომ საზოგადოება გულის წყრომით არ მოეკიდება მათ, ვინაიდან იძულებულნი შეიქმნენ თავისი პირადი ღირსება დაეცვათ.

◆ გუშინ, 18 ნოემბერს, **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გაფიცულ მოხელეებს ვერაზე მიტინგი ჰქონდათ**. მიტინგზე გამოირკვა, რომ ახლანდელ გაფიცვაში თითო-ოროლა მოხელე მონაწილეობას არ იღებს და ოლქის უფროსის თანაშემწე ივანოვი და უფროსი მეხანიკი კრასოვსკი თავიანთ მოქმედებით ხელს უშლიან მოხელეთა გაფიცვას. ორატორებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ საჭირო ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს ბ-ნ ლინდენს მოხელეებმა თავიანთი აღშფოთება გამოუცხადონ, ვინაიდან ის თავის თანაშემწეებს იარაღად ხმარობს და გაფიცვებში მოხელეთ ხელს უშლის. რაც შეეხება ლინდენის თანაშემწეს ივანოვს და მეხანიკს კრასოვსკის, ორატორები სთხოულობდნენ, რომ ორთავენი დაუყოვნებლივ იქმნენ დათხოვნილნი. მოხელეებს მსჯელობა ჰქონდათ აგრეთვე იმის შესახებ, რომ ჩვენსკენ არის თუ არა პრესსისა და საზოგადოების თანაგრძნობა, და რწმენას აცხადებენ, რომ ამ მძიმე საქმეში მათგან თანაგრძნობა და მხარის დაჭერა არ მოაკლდებათ. მიტინგმა მადლობით მოიხსენია ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფისტები, რომელთაც მუშაობას თავი გაანებეს და მათს საერთო გაფიცვას მიემხრნენ. ყველა ორატორები იმ აზრისანი იყვნენ, რომ გაფიცვა არ შესწყვიტონ, სანამ მათი მოთხოვნილება არ იქმნება დაკმაყოფილებული. მსჯელობა ჰქონდათ აგრეთვე საყოველთაო, სრულ ამნისტიის საჭიროების შესახებ. დასასრულ მიტინგმა შესაფერი რეზოლუცია მიიღო.

◆ დღეს, 19 ნოემბერს, ტფილისის სიფხიზლის საზოგადოება, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მთავარ სახელოსნოების თეატრში, **გადამწვარ და დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ** გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ტრ. რამიშვილის 4 მოქმედებიანი დრამა ,,მეზობლები''. ადგილების ფასი ამ საღამოს ჩვეულებრივზე მომატებულია.

◆ დღეს, 19 ნოემბერს, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია საგანგებო **კრება ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა**.

◆ გაზეთების შეკითხვაზე, ტფილისის პოლიცმეისტერი **შემდეგ პასუხს იძლევა**: „ტფილისის პოლიციელებს სხვადასხვა სისტემის რევოლვერები აქვთ, რომლებიც სიძველის გამო უვარგისნი გახდნენ. საჭირო იყო, ძველი რევოლვერების მაგივრად, ახლების შეძენა, და რადგან ქალაქის პოლიციის შეიარაღებისათვის ფული არ არის გადადებული, ამიტომ, როცა კი შევიძლებდით, ახალ იარაღს ვიძენდით. უკანასკნელ წლებში რევოლვერები არ შეგვიძენია, ბოლოს 2 ოქტომბერს მე ვიყიდე გერმან გეგელის იარაღის მაღაზიიდან 150 (და არა 250) რევოლვერი და ათასი პატრონა. იმავე დღეს ფული დავუთვალე და მისგან ანგარიშის ფურცელიც მივიღე. 150 რევოლვერი დავანაწილე პოლიციის უბნებზე, რათა დაერიგებინათ გოროდოვოებისათვის და არა „პატრიოტებისათვის". დარიგებულ რევოლვერების მაგივრად, პოლიციის ბოქაულებმა იმავე რიცხვი ძველი რევოლვერებისა ჩააბარეს ბოქაულის თანაშემწეს ტურიკოვს, რომელსაც ეს საქმე ჰქონდა მინდობილი.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი და ქალაქის მოურავად ნამყოფი თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, როგორც ამბობენ, მიემგზავრებიან პეტერბურგს და მიაქვთ თან კავკასიის ნამესტნიკის წერილი გრაფ ვიტტესთან **საქართველოსა და საზოგადოდ კავკასიის საქმეების შესახებ**. ამ წერილში ნამესტნიკი გამოსთქვამს თავის აზრს ამ საკითხების შესახებ.

◆ დღეს, 19 ნომბერს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში **წაკითხულ იქმნება რეფერატი**: „სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის ტაქტიკა".

◆ ამ დღეებში ყარსის საპყრობილედან გაანთავისუფლეს მე-156 თავად ციციშვილის სახელობის პოლკის პოდპორუჩიკი **დავით ქარცივაძე**, რომელიც სარაყამიშში დაატუსაღეს ჯარში პოლიტიკურ აგიტაციისთვის.

◆ 17 ოქტომბერს, ასე საღამოს 7 საათზე, რიყეზე, იქ, სადაც ელექტრონის ტრამვაის ვაგონები ჩერდება ხოლმე, ორმა მაჰმადიანმა **რევოლვერების სროლა ასტეხა**. მაჰმადიანები ჯარის კაცებმა დაიჭირეს და პოლიციას გადასცეს.

◆ კვირას, 20 ნოემბერს, **ჭიათურაში მიტინგს მართავს** სოციალ-დემოკრატიულ პარტიის „მეუმრავლესეთა" ფრაქცია.

◆ **ხულიგანები ყოველ ხერხს ხმარობენ, რომ მცხოვრებნი შეაშინონ**. გუშინ-წინ, 17 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ეტლით სასახლის ქუჩაზე გაიარა ვიღაც უცნობმა. როგორც მიუახლოვდა კავკასიის ნამესტნიკის სასახლეს, რამდენჯერმე რევოლვერი დასცალა და გზას გაუდგა. რევოლვერი დასცალა აგრეთვე ტფილისის საკომენდანტოსა და სასტუმრო „ორიანტის" წინ და ვერისკენ წავიდა. გოლოვინის პროსპექტზე მოსიარულე ხალხი ერთობ შეშინდა და სხვადასხვა სახლებსა და ეზოებში თავი შეაფარა. საკომენდანტოდან აფიცრები გამოვიდნენ, მაგრამ გვიანღა იყო.

◆ კვირას, 20 ნოემბერს, დიდუბეში **დანიშნულია სოციალ ფედერალისტთა მიტინგი**.

◆ 19 ნოემბერს, შუადღის 12 ს., ნაძალადევში, ეკლესიის მახლობლად, **დანიშნულია ვაჭრების მიტინგი**.

◆ ქართულ ,,პატარა გაზეთის'' რედაქტორ-გამომცემლად **დამტკიცებულ იქმნა კ. ს. მესხი**.

◆ ტფილისის მცხოვრებელმა არმაის ეოზნკიანცმა შუამდგომლობა აღძრა, რომ მიეცეს მას ნება, გამოსცეს ტფილისში **ყოველდღიური გაზეთი სომხურ ენაზე**, სახელად „კაიც".

◆ **ქ. ბათუმი**. 16 ნოემბერს დიდის პატივისცემით **დაასაფლავეს მუშა ისაკ კიკავა**. ამ დღეს მთელი ბათუმის სავაჭრო სახლები დაიკეტა და ცხედარის გვამი სამარემდე დიდძალმა ხალხმა მიაცილა. ისაკ კიკავა ის ხალხისთვის თავდადებული გმირი იყო, რომელმაც მოჰკლა საპოლიციო უბნის ზედამხედველი შმიკინი და მით მთელი ბათუმი აოხრებას გადაარჩინა. შმიკინს ხულიგანების ბრბო შეედგინა და უნდოდა ბათუმშიაც ისეთი ამბები მოეხდინა, როგორიც ოდესაში მოხდა. ისაკ კიკავა თვალ-ყურს ადევნებდა თურმე ამ ხულიგანთა ხულიგანს და მოჰკლა სწორედ იმ დროს, როდესაც იგი თავის შავი რაზმით „მოქმედებას" უნდა შესდგომოდა. ისაკ კიკავაც დაჭრეს და ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

◆ ხვალ, ათ საათზე, ტფილისის საკრებულოს შენობაში **დანიშნულია კრება** ტფილისის ბაღების პატრონებისა, რომელნიც განიხილავენ მებაღეთა მიერ წარდგენილ მოთხოვნილებებს.

◆ **ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულთ**: სევერიანე ხეჩიას, ანტონ სტურუას, მიხეილ მოქიას, ვლადიმერ სიხარულიძეს და კონსტანტინე გოგუაძეს კავკასიის ნამესტნიკმა სამშობლოში დაბრუნების ნება დართო.

◆ **ფოთში მიღებულ იარაღის შესახებ** შემდეგ დაწვრილებით ამბავს გვატყობინებენ: იარაღი ბარკასით შემოიტანეს ფოთის ნავთსადგურში. მცხოვრებლებმა იქვე გადმოცალეს ბარკასი და დაირიგეს თოფი და პატრონა. როდესაც ყველაფერი გადმოცალეს, ვიღაცამ თოფს სინჯვა დაუწყო: აბა, როგორ ისვრის ახალი თოფიო. სროლაზე მოცვივდნენ კაზაკები. გაიმართა ორთავე მხრიდან სროლა. მოკლულ და დაჭრილ იქმნა რამდენიმე კაცი. ხალხი მალე დაიშალა. კაზაკებმა დაატუსაღეს ათი მუშა და 400 თოფი. დანარჩენი თოფები კი მცხოვრებლებმა წაიღეს; ამიტომ პოლიცია სახლების ჩხრეკას შეუდგა, მაგრამ მცხოვრებლებმა უცბად საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს და პოლიცია იძულებული გახდა სახლების ჩხრეკისათვის თავი დაენებებინა. ხმები დადის, რომ იმ დღესვე იარაღი შავი ზღვის ნაპირებზე სხვადასხვა ადგილებიდანაც შემოიტანესო.

◆ ამ დღეებში ტფილისში მცხოვრებ **ოსებს მიტინგი ჰქონდათ**. მიტინგს მოხსენდა საქციელი ყულუმბეგოვისა, რომელმაც მთავრობას სთხოვა: ,,ნება მომეცით, მთავრობის დასახმარებლად ოსებისაგან მილიცია შევადგინოო''. მიტინგმა გულის-წყრომით მოისმინა ეს ამბავი და ერთხმად დაადგინა: 1) ,,რადგანაც ოსები სულით და გულით თანაუგრძნობთ განმათავისუფლებელ მოძრაობას და მზადა ვართ თავგანწირვით ვიბრძოლოთ კიდეც, ამიტომ ვუცხადებთ ჩვენ ზიზღს ყულუმბეგოვს და მის პროვოკატორულ დაწყებულებას, 2) არც ერთი ოსი არ იკადრებს მის ხელმძღვანელობას და 3) ვუცხადებთ ბოიკოტს, როგორც ყულუმბეგოვს, ისე იმ ოსებს, რომელნიც მასთან რაიმე საქმეს დაიჭერენო''.

◆ შაბათს, 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის საჯარო სამკითხველოს დარბაზში, **დანიშნულია კრება** მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა. ამ კრებაზე ე. ა. ლალაიანცი წაიკითხავს მოხსენებას გოქჩის ტბასთან ნაპოვნ არქეოლოგიურ ნაშთთა შესახებ.

◆ იმ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც ნამესტნიკმა დაამტკიცა 3 აგვისტოს, საერობო სათათბიროთა მუშაობა უნდა დასრულებულიყო 15 სეკტემბრამდის და მთელი მასალა ამ კრებებისა ოქტომბრის პირველ რიცხვებში უნდა წარდგენოდა ნამესტნიკის კანცელარიას. ოქტომბერში ნამესტნიკის საბჭოში უნდა მომხდარიყო სამაზრო და საგუბერნიო სათათბიროთა წარმომადგენლების კრება **კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ დებულების შესამუშავებლად**, მაგრამ, რადგან ზოგიერთ ადგილებიდან სათათბიროს მიერ მასალა ჯერ არ მისულია ნამესტნიკის კანცელარიას, ამიტომ ნამესტნიკის საბჭოში განზრახული კრებები ჯერ კიდევ ვერ მოხდა. ეს კრებები მოკლე დროში დაიწყება, როგორც კი ნამესტნიკის კანცელარია მიიღებს ზოგიერთ სათათბიროთა კრებების პროტოკოლებს, რომელიც მას არა აქვს ჯერ მიღებული.

◆ ტფილისის დედათა მე-3 გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფე ქალებმა შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ამ გიმნაზიის დირექტორს: 1) კანონდებულებისა და პოლიტიკურ ეკონომიის შესახებ ლექციების კითხვის შემოღება; 2) უფროს კლასებში საამხანაგო სასამართლოს დაარსება ამხანაგ მოწაფეთა გასასამართლებლად; 3) გაუქმება ეგზამენებისა და რეპეტიციისა მე-8 კლასში; 4) გაუქმება სამღვთო სჯულის სავალდებულო სწავლისა; 5) შემოღება სალიტერატურო პროგრამაში ახალ, თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა შესწავლისა (ტოლსტოი, ჩეხოვი, გორკი, ანდრეევი, სკიტალეცი, ჩირიკოვი, კოროლენკო, მიხაილოვსკი, ბუნინი და სხვ.), შეცვლა სწავლების მეთოდისა და ნიმუშების გარჩევა; 6) ნება მიეცეთ ყველა კლასებს, თავის დეპუტატ-ქალების საშუალებით დამოკიდებულობა იქონიონ პედაგოგთა კორპორაციასთან; და 7) დაარსდეს გიმნაზიის ბიბლიოთეკა და გიმნაზიის მთავრობამ ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს ამ ბიბლიოთეკას. დირექტორმა ეს მოთხოვნილებანი განსახილველად პედაგოგიურ საბჭოს გადასცა.

◆ სათავად-აზნაურო გიმნაზია, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, იანვრამდე დაიკეტა. სკოლაში მოსამსახურენი ამ შემთხვევის გამო დათხოვნილ იქმნენ. ამისთვის მათ თხოვნით მიმართეს გიმნაზიის მთავრობას ორი თვის ჯამაგირი მოგვეცით და, როცა სკოლა გაიხსნება, ჩვენი ადგილი ისევ დაგვიბრუნდესო. სკოლის წარმომადგენლების კრებამ ეს მოთხოვნილება უკვე განიხილა 17 ნოემბერს და დააკმაყოფილა.

◆ „ტფ. ლისტოკ"-ში ერთი სალდათი სწერს: ამ დღეებში შევედი სამხედრო ტაძარში; ხალხი ძალიან ცოტა იყო. ეკლესიის შუაგულში რამდენიმე აფიცერი იდგა და ერთმანეთში ლაყბობდნენ. მე და რამდენიმე სხვა სალდათი კარებში გავჩერდით, ვიდექით ჩუმად, მშვიდათ, როგორც ეს მიღებულია ეკლესიაში. ამ დროს მოვიდა ჟანდარმი და გვიბრძანა, სხვა ალაგს გადავსულიყავით, აქ დგომა არ შეიძლებაო. ბრძანება ავასრულეთ და სხვა ალაგს გადავედით, მაგრამ მალე იქიდანაც გამოგვრეკეს. ბოლოს ჩვენს შეკითხვაზე, ჟანდარმმა უხეშად გვიპასუხა: ამ ალაგას

ფელეტონი

რობერტ ოუენი

მეთვრამეტე საუკუნე არის ერთი უშესანიშნავესი ხანა ინგლისის ისტორიაში. ეს ის დროა, როცა ძველი ეკონომიური წყობილება დაირღვა და მის ნანგრევებზე ახალი აღორძინდა. სხვადასხვა ქვეყნების აღმოჩენამ, საწარმოო იარაღის გაუმჯობესებამ, სხვადასხვა მანქანების შემოღებამ, ერთა შორის მიმოსვლის გაადვილებამ ხელოსნურ წარმოებას ძირი გამოუთხარა და დამკვიდრდა ფართო კაპიტალისტური წარმოება.

კაპიტალისტურ წარმოების განვითარებამ გამოიწვია პროლეტარიატის გამრავლება. მანქანამ წვრილი მესაკუთრე გააკოტრა. წვრილმა მწარმოებლებმა კაპიტალისტის მეტოქეობას ვერ გაუძლეს და გაპროლეტარდნენ. მრეწველობის განვითარებამ სოფელზედაც იქონია გავლენა,— სოფლებიდან აყარებული მუშა ხელი მოაწყდა ქალაქებს. გარდა ამისა, მანქანამ შრომა გააადვილა და შესაძლებლად გახადა ქალებისა და ბავშვების მუშაობა სამრეწველო წარმოებაში.

კაპიტალიზმის განვითარების პირველ ხანაში შრომის პირობები აუტანელი იყო და მუშა ხალხი დიდს გაჭირვებასა და შევიწროებას განიცდიდა. ამ გარემოებას არ შეეძლო არ დაეფიქრებინა საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა და არ აღეძრა მასში გრძნობა სიბრალულისა და სურვილი მუშა-ხალხის დახმარებისა. ერთი ასეთი პირთაგანი, რომელიც გამოვიდა იმ დროს მუშათა დამცველად, იყო რობერტ ოუენი, რომელმაც თავისი სიცოცხლე და სიმდიდრე მუშა ხალხის კეთილდღეობას მოანდომა.

რობერტ ოუენი დაიბადა 1771 წელს, 14 მაისს. მამა მისი იყო ღარიბი ხელოსანი და ამიტომ მას 10 წლიდან დასჭირდა ლუკმა პურისთვის შრომა. ის მიიბარეს მაღაზიაში მოსამსახურედ. 18 წლის რომ შესრულდა, დაანება თავი მაღაზიას, ისესხა ფული და გახსნა საკუთარი პატარა ბამბის საქსოვი ქარხანა. ის იყო მუყაითი და საქმეც კარგად წაიყვანა. მაგრამ ამ პატარა საქმემ იგი ვერ დააკმაყოფილა. იგი შევიდა მოურავად ერთ დიდ ბამბის საქსოვ ფაბრიკაში, სადაც რამდენიმე ათასი მუშა მუშაობდა. გაეცნო აქ მსხვილ წარმოებას, შეისწავლა საქსოვ ქარხნის საქმე და, როცა საკმაო თანხა შეაგროვა, შეადგინა კაპიტალისტთა ამხანაგობა და იყიდა საუკეთესო ფაბრიკა ნიუ-ლამარკში. აი, ამ დროიდან იწყება მისი ბრწყინვალე მოღვაწეობა.

მის ფაბრიკაში მუშაობდა 3 ათასი მუშა. ისინი იყვნენ უსახლკარო მაწანწალები, რომელთაც წინეთ არჩენდნენ საქველმოქმედო საზოგადოებანი. ამგვარ საზოგადოებათაგან მიჰყავდათ მუშახელი მექარხნეებს, როცა დასჭირდებოდათ. ფაბრიკებში მაშინ საშინელი ექსპლუატაცია იყო მუშებისა,—პაწაწა ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ და დიდებსავით ამუშავებდნენ. ამიტომ მუშა, თუ სრულიად უმწეო არ იყო, ფაბრიკას გაურბოდა და იქ მუშაობაზე უარს ამბობდა. ლოთობა, ქურდობა და ჩხუბი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მაშინდელ მუშებს შორის.

აი, ასეთ უმეცარ და გათახსირებულ ხალხის მეთაური გახდა ოუენი. მარა ის მედგრად შეუდგა ამ ხალხის მორჯულებას. მუშები მას მტრულად უყურებდნენ, ოუენი კი ექცეოდა მეგობრულად. ის არავითარ ძალდატანებით ზომებს არა ხმარობდა, გარდა სიტყვისა და მაგალითისა. ოუენმა შეამოკლა სამუშაო დღე, მიუმატა ხელფასი, შეამცირა ბავშვების სამუშაო დრო, მოაწყო მუშებისთვის სასადილოები, გაიჩინა საკუთარი სანოვაგის საწყობები და ამით მისცა მუშებს შეძლება იაფად კარგი ღირსების საჭმელი ეყიდნათ, აუშენა კარგი და სუფთა სადგომები, გამართა სკოლები, ბიბლიოთეკები და გაიამხანაგა მუშები წარმოებაში. ყველა ამით შესძლო სრული გარდაქმნა მუშებისა. ნიუ-ლამარკი მთელ ქვეყანაზე სამაგალითო ფაბრიკად გადაიქცა, როგორც წარმოების საქმის დაყენებით, ისე მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ. ნიუ-ლამარკმა გაითქვა სახელი. ყოველ-წლივ მოდიოდა მის სანახავად 2,000 კაცი, რომელთა რიცხვში ხელმწიფეებიც ერივნენ. ფაბრიკის მოგებამაც ერთი-ორად იმატა. ფაბრიკა იყიდეს 600,000 მანათად და 14 წლის შემდეგ მისი ღირებულება 2 მილიონი შეიქმნა.

1816 წელს ოუენმა გამოაქვეყნა წიგნი ამ სათაურით: „ახალი შეხედულება საზოგადოებაზე". წიგნში ავტორმა გამოსთქვა პრინციპები, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა ნიუ-ლამარკში. ისის აზრით, ადამიანი არის ნაყოფი თავისი წრისა,—ადამიანის ხასიათს ჰქმნის აღზრდა და ცხოვრების პირობები. ჩააყენეთ ადამიანი კარგ და საღ ცხოვრების პირობებში,— სწერდა ოუენი,—მიეცით შეძლება, განავითაროს თავისი გონებრივი და ზნეობრივი ძალები, და მაშინ დაინახავთ, როგორ სასარგებლო წევრს შეიძენს საზოგადოება; ადამიანი შეიქმნება სათნოიანი, თუ კარგ გზაზე დააყენებთ მას; მასში შეგიძლიათ განავითაროთ საუკეთესო გრძნობა, თვისება და შეამუშაოთ სასურველი ხასიათი. სიავკაცე და სიღარიბე ადამიანისა შედეგია საზოგადოების მოუწყობლობისა. საზოგადოების კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ მოზარდი თაობა საღად იზრდებოდეს. საზოგადოების კლასებად დაყოფამ და კლასობრივმა ბრძოლამ ადგილი უნდა დაუთმოს ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სადაც საზოგადოების ყველა წევრს შეეძლება შრომა და ადამიანურ პირობებში ცხოვრება.

თუ როგორი უნდა იყოს ეს ორგანიზაცია, ამაზე ოუენმა გამოსთქვა თავისი აზრი მეორე წიგნში, რომელსაც ეწოდება ,,ზნეობის ქვეყანა''. მიწა,—ამბობს იგი ამ თხზულებაში,—უნდა იყოს საზოგადოების კუთვნილება. ქირით მუშაობისა და კაპიტალისტურ გაყვლეფის ადგილას უნდა დაწესდეს ამხანაგურად მოწყობილი წარმოება. საზოგადოება, რომელიც დაახლოვებით 500 კაცისაგან შესდგება, თვითონ შეერთებულის ძალით მუშაობს მიწას და ამისთვის ხმარობს იარაღებს, რომლებიც საზოგადო კუთვნილებაა.

დამზადებული ნაწარმოები გროვდება საზოგადოების საწყობებში და იქიდან, საჭიროების მიხედვით, ეძლევათ წევრებს. ყოველ ოჯახს საკუთარი ბინა აქვს. ბავშვები სამი წლის შემდეგ იზრდებიან ერთად. საზოგადოება მოვალეა აცხოვროს ყველა თავისი წევრი, სამაგიეროდ, ნება აქვს მოსთხოვოს ყოველ წევრს მისი ნიჭისა და ღონის შესაფერი შრომა. რადგან წარმოება იქნება მოწყობილი ფართო ნიადაგზე, ხარჯი შემცირდება და შრომას მეტი ნაყოფიერება ექნება. ასე მოწყობილ საზოგადოებაში დამყარდება კეთილდღეობა.

ასეთია უმთავრესი აზრი ოუენის გეგმის ახალ საზოგადოებისა. ოუენს უნდოდა გაეუქმებინა თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება და დაეწესებინა საზოგადოებრივი ანუ სოციალისტური. მას უნდოდა შექმნა ისეთი ეკონომიური წყობილება, სადაც არ იქნებოდა მდიდარი და ღატაკი, ბატონი და მონა. ამისთვის ოუენი ცდილობდა გაევრცელებინა საზოგადოებაში თავისი მოძღვრება: მართავდა კრებებს, სწერდა გაზეთებში, კითხულობდა მოხსენებებს სხვადასხვა კრებებზე; ერთის სიტყვით, არ ზოგავდა თავის ძალღონეს თავის აზრების გასავრცელებლად.

როგორ შეხვდა საზოგადოება ოუენის აზრებს? რასაკვირველია, მტრულად. ოუენი უქადაგებდა მდიდრებს სიღარიბის და გაყვლეფის მოსპობას და თანასწორობის გამეფებას. და, აბა, რომელი მდიდარი იქნებოდა თავისი თავის მტერი და მოიწონებდა ოუენის აზრებს? როცა ოუენი ფაბრიკის პატრონი იყო და ცდილობდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას არსებულ წეს-წყობილების ფარგლებში, მაშინ ყველა ქებით იხსენიებდა და ხოტბით ეკიდებოდა მას. მარა, როცა მან არსებული კაპიტალისტური წესები დაჰგმო და ახალ სოციალურ პირობების შექმნას შეუდგა,— საზოგადოება გადაუდგა მას. სამაგიეროდ ღარიბებმა აღტაცებით მიიღეს იგი. მუშა ხალხი ითვისებდა მის მოძღვრებას და ათასობით გადადიოდა მის ბანაკში. 10 წლის განმავლობაში მან წარმოსთქვა 1.000-ზე მეტი სიტყვა, გამოსცა 500 მოწოდება, დასწერა 2.000 სტატია. 1830 წელს ინგლისში ოუენის მომხრენი ათასობით ითვლებოდნენ.

ამავე დროს ოუენმა განიზრახა თავის აზრის პრაქტიკულად განხორციელება, წავიდა ამერიკაში, იყიდა რამდენიმე ათასი დღიური მიწა და დაარსა საზოგადოება. „ჰარმონია"-ში—ასე ერქვა ამ სოციალისტურ საზოგადოებას,—მოიყარა თავი ათასმა კაცმა. ზოგი მართლა გატაცებული იყო ოუენის აზრებით, ზოგი კი უფრო დროს გასატარებლად შევიდა ამ საზოგადოებაში. იმ ხალხს, რომელიც აღზრდილი იყო კაპიტალისტურ, კერძო საკუთრებაზე აგებულ საზოგადოებაში, სადაც გამეფებულია მეტოქეობა და მხოლოდ თავის ინტერესებზე ზრუნვა, გამეფებულია სხვისი დაჩაგვრა,—არ შეეძლო, რასაკვირველია, ახალ საზოგადოებაში ყველა თავისი ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი, მოთხოვნილებანი დაევიწყებინა და შეექმნა ახალი საზოგადოება, რომელიც თანასწორობის პრინციპზე უნდა ყოფილიყო აგებული. ამიტომ, ადვილი გასაგებია, რომ საზოგადოება რამდენიმე წლის შემდეგ დაიშალა.

დამარცხებამ ოუენი ვერ შეაშინა. მან განიზრახა ახლა გამცვლელ ბანკის დაარსება. 1832 წელს ინგლისში დიდი კრიზისი იყო. ბაზარი სავსე იყო საქონლით, მყიდველი კი—არავინ. ბევრი მუშა დასტოვა ამ კრიზისმა ულუკმა-პუროდ და გამოჰყარა ქუჩაში, რადგან საქონელს გასავალი არა ჰქონდა, წარმოება შეჩერდა და ისინი სამუშაოს ვერსად შოულობდნენ. ოუენმა მოინდომა კრიზისის მოსპობა და დაარსა ბირჟა, სადაც ყველა მწარმოებელს შეეძლო მოეტანა თავისი საქონელი გასასაღებლად. მცოდნე პირები გამოიკვლევდნენ, რამდენი შრომა იყო დახარჯული ამ საქონლის დამზადებაზე, და ფულის მაგივრად მწარმოებელს აძლევდნენ კვიტანციას, სადაც აღნიშნული იყო საქონლის გაკეთებაში დახარჯულ შრომის რაოდენობა. მწარმოებელს ამგვარ კვიტანციებით უნდა მიეღო მისთვის საჭირო სავადასხვა ნაწარმოები. ამნაირად, გაცვლა უნდა მომხდარიყო უფულოდ, წარმოებაც არ უნდა შეჩერებულიყო და მუშასაც სამუშაო არ გამოლეოდა. მაგრამ ეს ოუენის გამოწყობილი საქმეც მალე ჩაიშალა და უნდა ჩაშლილიყო აუცილებლად, რადგან საქონლის გაუსაღებლობის მიზეზი უფულობა კი არაა, არამედ—წარმოების მოუწესრიგებლობა.

ოუენი მაინც გულს არ იტეხდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ერთ დროს სანატრელი წესწყობილება დამყარდებოდა, მხოლოდ საჭირო იყო მანამდის მუშა ხალხს როგორმე თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. ოუენმა აქაც ახალი საქმე აღმოაჩინა. მან აუხსნა მუშებს, რა ძალა აქვს ერთობას. მუშა,—ამბობდა ოუენი,—წარმოადგენს ძალას, როგორც საქონლის მხმარებელი. მედუქნე ცხოვრობს იმით, რომ მუშებზე ასაღებს სანოვაგეს. მუშებს ერთად იმდენი შეძლება აქვთ, რომ აძლევენ მედუქნეს მოგებას და არჩენენ მას. მაშ მომხმარებლები რომ შეერთდნენ, ის ფული, რომელიც ახლა მედუქნეს მიაქვს, ხომ მათ ჯიბეში დარჩება? ამნაირად, რამდენიმე ხნის შემდეგ, შეგროვდება საკმაო თანხა, რომ დაარსონ მომმარებელი საზოგადოება კოოპერატიულ ანუ ამხანაგურ ნიადაგზე, და, აი, ოუენის მეცადინეობითა და გავლენით, ინგლისში გაჩნდა რამდენიმე კოოპერატიული ამხანაგობა. მართალია, პირველად, გამოუცდელობის გამო, ვერ მიდიოდა კარგად მათი საქმე, მაგრამ მერე ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა ამგვარ ამხანაგობათა მოქმედება. ახლა მთელი ინგლისი მოფენილია მომხმარებელ კოოპერატიულ (საამხანაგო) საზოგადოებით. 1890 წელს ინგლისში იყო 1,300 საზოგადოება, რომელთაც ერთი მილიონი წევრი ჰყავდათ.

მკითხველი ხედავს, რომ ოუენს მცირე ღვაწლი არ მიუძღვის მუშა ხალხის წინაშე. ოუენი იყო სოციალისტი, რადგან ის ჰგმობდა არსებულ ეკონომიურ ანარქიას, სასტიკ კრიტიკას უწევდა კაპიტალისტურ წესწყობილებას და ჰქადაგებდა ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციის დაწესებას, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს კლასობრივ დანაწილებასა და ეკონომიურ ექსპლუატაციას. იგი თხოულობდა მიწისა და საერთოდ საწარმოვო იარაღთა განსაზოგადოებრივობას. მაგრამ ამავე დროს ოუენი იყო უტოპისტი, რადგან იგი ყურადღებას არ აქცევდა ისტორიულ პროცესს და სოციალიზმის დასამყარებლად საკმაოდ სთვლიდა მარტოოდენ სოციალიზმის სარგებლობის შეგნებას ხალხის მიერ. კაპიტალისტური წარმოება შექმნა ადამიანმა და ადამიანისავე ხელშია მისი მოსპობა—ამბობდა იგი; მხოლოდ საჭიროა, მან შეიგნოს მისი უვარგისობაო. აქედან გამომდინარეობდა ოუენის სამოქმედო ტაქტიკაც: უარყოფა კლასთა ბრძოლისა, რადგან ეს ამწვავებს შრომისა და კაპიტალის დამოკიდებულებასაო. პოლიტიკური ბრძოლა, ოუენის აზრით, მუშებისთვის მავნებელია, რადგან სოციალიზმს ხელმწიფე უფრო განახორციელებს, ვიდრე ღარიბი მუშები. არც საეკონომიო მიზნით კავშირების შედგენაა საჭირო მუშებისათვის, რადგან ეს მდიდრებს ამხედრებს ღარიბების წინაღმდეგო; სოციალიზმის დასამყარებლად საკმაოა პროპაგანდა სიტყვით, წერითა და მაგალითით. ამიტომ ოუენი მიმართავდა წარჩინებულ პირთ და მდიდარ ფაბრიკანტებს, უხსნიდა სოციალიზმის სარგებლობას და ურჩევდა მის განხორციელებას. ოუენს არა სჯეროდა, რომ მუშათა კლასს, კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე დამდგარს და კლასობრივ შეგნებით გამჭვალულს, შეეძლოს რაიმე გაიმარჯვოს. ამიტომ იგი ამა ქვეყნის ძლიერთ მიმართავდა და ურჩევდა: სოციალიზმი დააწესეთო. აი, ამაში მთავარი შეცდომა და უტოპისტობა.

ი. ხ.

სალდათებს ეკრძალებათ დგომა, ასე ბრძანა კომენდანტმა. ასეთი მაგალითები ბევრია სალდათის ცხოვრებაში. ნუ თუ ჩვენ საყდარშიაც არა გვაქვს ადგილი?—ჰკითხულობს ბოლოს სალდათი.

◆ შაბათს, 19 ნოემბერს, სტუდენტთა ერთი ჯგუფი საბჭოს დარბაზში კრებას გამართავს თანამედროვე საკითხებზე მოსალაპარაკებლად. სტუდენტები სთხოვენ თავიანთ კოლეგებს სამ კრებას დაესწრნენ.

◆ 17 ნოემბერს, საღამოს ექვს საათზე, მეექვსე საპოლიციო უბანში, ეგრედ წოდებულ, შაითან-ბაზარზე ეტლით გაიარა ჩოხიანმა უცნობმა კაცმა და უცებ, სრულიად უმიზეზოდ, რამდენჯერმე ჰაერში რევოლვერი დასცალა, რითაც მცხოვრებთა შორის დიდი აღიაქოთი და შიშიანობა გამოიწვია. უცნობმა ეტლი არხეინად გააქროლა ბაზარზე, გაიარა მეტეხის ხიდი და რიყისაკენ გაემართა. მცხოვრებნი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს უცნობი ერთი იმ ხულიგანთაგანი იყო, რომელთაც სურთ სომეხთა და თათართა შორის ხოცვა-ჟლეტა გამოიწვიონ.

◆ ყაზახის მაზრიდან ტფილისში ჩამოვიდნენ მაჰმადიანი ბეგები და მემამულენი, რომელთაც უნდათ კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს სთხოვონ, რომ ყაზახის მაზრის უფროსი ბ-ნი არნოლდი სხვაგან გადაიყვანონ. მკითხველთ უნდა გავახსენოთ, რომ ამ დღეებში ყაზახის მაზრის მაჰმადიანთა და სომეხთა წარმომადგენლებმა ნამესტნიკს სთხოვეს, რომ ბ-ნ არნოლდს სხვაგან ნუ გადაიყვანთო.

◆ ამ დღეებში ქართველმა ეპისკოპოსებმა საქართველოს ეგზარხოსს პეტიცია მიართვეს საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის საჭიროების შესახებ. გუშინ-წინ, 17 ნოემბერს, საქართველოს ეგზარხოსი ამ საგანზე მოსალაპარაკებლად კავკასიის ნამესტნიკთან იყო. საქართველოს ეგზარხოსმა ეპისკოპოსების პეტიციასთან ერთად ნამესტნიკს თავისი მოსაზრებანიც წარუდგინა.

◆ გუშინწინ, როდესაც სახალხო მატარებელი ტფილისის სადგურს გასცდა, რკინის გზის სახელოსნოს პირდაპირ, ვიღაც უცნობმა კაცმა მატარებელში მდგომ სალდათს თოფი წაართვა და თოფიანად გაქანებულ მატარებლიდან გადახტა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად გაიფიცნენ ქარვასლაში მოვაჭრეთა შეგირდები და მაღაზიების პატრონებს მოთხოვნილებანი წარუდგინეს. 15 ნოემბერს პატრონებმა გადასწყვიტეს შეგირდების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და შეგირდებმაც მუშაობა დაიწყეს, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთი ხაზეინებიც, რომლებმაც უარჰყვეს ეს გარდაწყვეტილება და თავიანთ შეგირდებს უარი განუცხადეს, სახელდობრ: მჭედლოვმა, სტეფანოვმა, ნავთიკოვმა, ზალამოვმა, ჯანჯუგაზოვმა, ბერინოვმა, მეგრინოვმა, გრიგორიანცმა, ცატუროვმა, აქოფოვმა, იუზბაშევმა, სალამბეგოვმა, ნერსესოვმა, ნუნუევმა და აბგარიანცმა. ამათ შეგირდებს მხარი დაუჭირეს სხვა შეგირდებმაც და გუშინ-წინ, 17 ნოემბერს, ისევ გაიფიცნენ.

◆ ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის ბოინზე მოსამსახურეთა და მუშათა მოთხოვნილებანი, რომელიც მათის მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეხება, და ზოგიერთი მუხლი მოთხოვნილებათა დააკმაყოფილა, ზოგის შესახებ კი ისევ მსჯელობა აქვს.

სოხუმის ოლქის მცხოვრებთა მოთხოვნილებანი.

სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა კავკასიის ნამესტნიკს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს:

1) სოხუმის ოლქის მცხოვრებნი თხოულობენ, რომ სოხუმის ოლქი თავის ისტორიულ საზღვრებით წინანდელივით ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად დარჩეს. თუ სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო სოხუმის ოლქის დარჩენა ადმინისტრატიულ ერთეულად არ შეიძლება, სოხუმის ოლქს შავი ზღვის გუბერნია უნდა შეუერთდეს და ცენტრად უეჭველად ისევ სოხუმი დარჩეს. თუ სოხუმის ოლქი შავი ზღვის გუბერნიას შეუერთეს და ცენტრი სოხუმიდან სხვაგან გადაიტანეს, მცხოვრებლები უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდებიან, რადგან ვერც საგუბერნიო ადმინისტრაციით ისარგებლებენ და ვერც სასამართლოთი.

2) ა) სოხუმის ოლქში მცხოვრებ აფხაზებს მოხელეები დაუმსახურებელ და სამარცხვინო სახელს „დამნაშავე"-ს უწოდებენ. ესეც უნდა მოისპოს; ბ) აბხაზები უფლებებით სამურზაყანელებს უნდა გაუთანასწორდნენ, 1870 წ. 8 ნოემბერს უმაღლესად დამტკიცებულ დებულების თანახმად; გ) თანახმად ზემოხსენებულ დებულებისა, ოლქის ყველა მკვიდრ უმიწაწყლოს ახლავე უნდა მიეცეს მიწა; დ) რუსეთის ყველა ქვეშევრდომს, სხვადასხვა დროს სოხუმის ოლქში ჩამოსახლებულს, საკუთრებად მიეცეს ის მიწა, რომელიც მას ამ ჟამად უჭირავს და შესაფერ თემს მიეწეროს თუ მას ამ თემში 7 წელიწადზე ნაკლები არ უცხოვრია; ე) სოხუმის ოლქში მცხოვრები მეგრელები, რომელნიც მათგან ნაყიდ მიწაზე ცხოვრობენ, უნდა მიეწერნენ აქაურ თემებს და გამორიცხულ იქმნენ იმ თემებიდან, სადაც წინად ცხოვრობდნენ.

3) 1877 და 1878 წლებში ოსმალეთში გარდახვეწილ აბხაზებს ნება მიეცეთ უკან დაბრუნებისა და სოხუმის ოლქში დაბრუნებულთ სახელმწიფო ადგილი დაეთმოთ.

4) ოლქის მცხოვრებთ უფასოდ დაეთმოთ სახაზინო საძოვარი. 5) ახლავე გაუქმდეს არსებული და სრულიად უვარგისი საპოლიციო დარაჯთა ინსტიტუტი და იმის მაგიერ ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაარსდეს საერობო დარაჯთა ინსტიტუტი.

6) სოხუმ-ზუგდიდის შარა-გზა გზათა სამინისტროს გადაეცეს; გაგრასა და ზუგდიდს შორის საფოსტო ტრაქტი გაიხსნას და მცხოვრებლებს საფოსტო ცხენების შენახვის მოვალეობა ჩამოეცალოს.

7) ახლავე შემოღებულ იქმნეს საყოველთაო, სავალდებულო, საერო და უფასო სწავლა-განათლება, რომელსაც მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს საშუალო სასწავლებლების პროგრამასთან.

8) სტავროპოლის ვაჟთა გიმნაზიაში არსებული სტიპენდიები თანდათან სოხუმის რეალურ სასწავლებლებში იქმნეს გადმოტანილი და მათი რაოდენობაც გადიდდეს.

9) სოხუმის ოლქის ყველა სასწავლებელში საგნების სწავლება სავალდებულო იყოს ქართულ ენაზე, მსურველთათვის—აბხაზური და არაბულიც.

10) ოლქის მცხოვრებთ რამდენიმე სტიპენდია მიეცეს უმაღლეს სასწავლებლებში.

11) სოხუმის საქალაქო სასწავლებელი ახლავე გადაკეთდეს სამეურნეო სასწავლებლად მოსამზადებელ კლასებით.

12) დაარსდეს საექიმო სკოლა და ტფილისის ფერშალთა სასწავლებელსა და ბებიათა კურსებზე ოლქის მცხოვრებთ რამდენიმე სტიპენდია მიეცეს.

13) სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა სამხედრო ბეგარა ამიერ კავკასიაში უნდა მოიხადონ.

14) ახლავე შემოღებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და არჩეულ მოსამართლეთა ინსტიტუტი.

15) მცხოვრებლებმა თვითონვე უნდა აირჩიონ სამღვდელო პირები.

16) ადგილობრივ მცხოვრებლებს, თუ განათლების ცენზი ნებას აძლევს, ყველა დაწესებულებაში ადგილი მიეცეთ.

ალ. კალიაშვილის ცხედრის მოსვენება

(სადგურ საჯევახოდან ქუთაისამდე).

15 ნოემბერს სადგურ საჯევახოზე ცნობა მოვიდა, რომ დილის 8 საათზე, 16 ნოემბერს, ოდესიდან მოასვენებენ თვითმპყრობელობის უმანკო მსხვერპლს, ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტს, ალექსანდრე (საბა) კალიაშვილსაო. ადგილობრივ საზოგადოებათა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა იმავ საღამოსვე დაუყოვნებლივ აცნობეს ყველგან ეს ამბავი, რომ 16 ნოემბერს საჯევახოს სადგურზე შეხვედროდნენ საპატიო ცხედარს. გათენებიდანვე საჯევახოში თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა.

გამოჩნდა თუ არა წითელის დროშებით შემკულ მატარებლის ორთქლ-მავალი, ხალხი, წითელის დროშებითვე, ჩამწკრივდა ლიანდაგის ორთავე მხარეზე და სარევოლუციო სიმღერები შესძახა: „Вы жертвою пали" და ქართული მარსელიეზა. წითელ დროშასთან ერთად, ამ პროცესიის ხელმძღვანელს ხელთ ეპყრა ძვირფასი გვირგვინი, საჯევახოელებისაგან მიძღვნილი, შესაფერის წარწერით. გაჩერდა თუ არა მატარებელი, რამდენიმე კაცი შევიდა იმ ვაგონში, რომელშიაც მიცვალებული ესვენა, და მისი ძვირფასი ცხედარი შეამკო ხსენებულ გვირგვინით; ამასთანავე, წარმოსთქვეს რამდენიმე ცოცხალი და შესაფერი სიტყვა. ჩვეულებრივ ამ სადგურზე მატარებელი 5 წუთსა ჩერდება. მაგრამ, ხალხის მოთხოვნილების თანახმად, სადგურის უფროსმა, ბ-ნმა ჩარკვიანმა, 15 წუთს გააჩერა. როდესაც მატარებელი დაიძრა, ხალხმა მოითხოვა, რომ ნელა ეტარებინათ ცოტა მანძილზე, რაიცა აღსრულებულ იქმნა, და ხალხი მატარებელს ფეხით გაჰყვა მარსელიეზითა და რუსულ „Вы жертвою пали"-ს სიმღერით.

უფრო დიდებულად დაუხვდა საბას ცხედარს სამტრედიის საზოგადოება; აქაც რამდენიმე მკაცრი სიტყვა წარმოითქვა განსვენებულის ცხედართან და სასტიკად დაჰგმეს და შეაჩვენეს სულთ-მობრძავი თვითმპყრობელობა, რომელიც არავითარს საშუალებას არა ჰზოგავს, რომ როგორმე კონტრ რევოლუციით ჩააქროს დიდებული განმათავისუფლებელი მოძრაობა და მით შეირჩინოს თავისი შერყეული ტახტი და ნახევარი არსებობა. სამტრედიის სადგურზედაც მგალობელთა გუნდი დაუხვდა და ქუთაისამდე მიაცილა ცხედარი.

სხვა სადგურებზე სიმასო მზადება არ ყოფილა. ქუთაისი კი დიდებულად დაუხვდა განსვენებულის ნეშთს: აქ, რკინის გზის სადგურზე, თავი მოეყარა მთელს ქუთაისის საზოგადოებას, რომელიც დიდის ამბით შეეგება სამგლოვიარო მატარებელს. საზოგადოებამ მრავალის ძვირფას გვირგვინით შეამკო მისი ცხედარი; აქაც აუარებელი სიტყვები წარმოითქვა. პროცესია წითელის დროშებით იყო მორთული. რკინის გზის სადგურიდან სამგლოვიარო პროცესია დაიძრა საკრებულო ტაძრისაკენ სამგლოვიარო და სარევოლუციო სიმღერებით; მღეროდნენ რიგრიგად ადგილობრივ სასწავლებელთა მოსწავლენი. პროცესიას წინ მიუძღოდა ადგილობრივ სხვადასხვა სარევოლუციო პარტიის ორგანიზაციების მეთაური თავ-თავიანთ დროშებითა და გვირგვინებით. ორი შავი დროშა იყო და 20-ზე მეტი—წითელი. ტაძრის გალავანში გაიმართა სიტყვების წარმოთქმა. პირველად ილაპარაკა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა, რომ განსვენებული საბა ჩვენის პარტიის წევრი იყოო. ამაზე სოციალ-დემოკრატთა ადგილობრივ ორგანიზაციის წარმომადგენელმა უპასუხა: რომელ პარტიის წევრიც უნდა ყოფილიყო განსვენებული, იგი მოკლულ იქმნა ულმობელ ხელისაგან ბრძოლის ველზე, და განმათავისუფლებელ მოძრაობაში ბრძოლის ველზე განგმირულს მოქალაქეს ჩვენ ყველანი პატივის-ცემითა და სიყვარულით მოვიხსენიებთო. ამის შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა წითელ რაზმის მეთაური, თავით ფეხამდე შეიარაღებული, რომელმაც რაზმის გამრავლების შესახებ ილაპარაკა. საღამოს მიცვალებული საკრებულო ტაძრიდან მთავარ ანგელოზის ეკლესიაში წაასვენეს. და იქვე დაკრძალეს.

მან-მან.

პატარა, მაგრამ საგულისხმიერო ამბავი

(საკუთარ კორესპონდენტიდან)

მოგეხსენებათ ქართულ გაზეთების მკითხველებს, რომ სოფელ გორდში (სამეგრელოშია) ბედისგან ტანჯულმა, მეტის შრომისგან გაძვალტყავებულმა მშრომელმა გლეხკაცობამ, გაიგო რა მიზეზები თავისი დაბეჩავებისა, ამოძრავდა, ვაჟკაცურად აიღო ხელში თავისუფლების დროშა და, რუსეთის ლომგულ და რევოლუციონურ ჩარხის მთავარ მამოძრავებელ წრეებთან ერთად, მედგარი ბრძოლა გამოუცხადა უნიჭო, ხალხის უბედურებაზედ თავის ბედნიერების ამგებს ბიუროკრატიას!

სად რომელ კუთხეში არ გამოსჩენია მაღალ იდეალებით გაჟღენთილ ხალხს მოწინააღმდეგენი, ხელის შემშლელი, მოღალატენი და, აი, სწორეთ აქაც, სოფელ გორდშიაც, ამოჰყვეს თავი ბნელეთის მოციქულებმა და მოისურვეს ნათელის ჩაქრობა, მაგრამ ამაოდ!! შედგა გორდში შავი რაზმი; მთავრობამ მათდამი სიყვარულით გამსჭვალულებს დაურიგა იარაღი, ბერდანკები, და დაავალა ერთ ხულიგანს შავი ოჯახის პატრონობა და ამ ოჯახებიდან ცეცხლითა და მახვილით ყოველგვარ ახალ აზრის გამოდევნა; გახშირდა სოფელ გორდიდან დანოსების წერა „გვიშველეთ, მავნე პირებმა, სოციალისტებმა, აჯანყეს, ხალხი გადარიეს, არიქა, მოგვიშველეთ კაზაკებით!"

მართლაც, მთავრობამ კაზაკებით აავსო ს. გორდი, რომლებიც არ ინდობდნენ ქალს, კაცს, ტალახში თელავდნენ, უმისოდაც გათელილ და გათახსირებულ გლეხკაცს პირადობას; აწიოკებდნენ და აოხრებდნენ მშვიდ გორდელების ოჯახს.

მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს და, ჩვენდა სასიამოვნოდ, გორდის ხულიგანების თარეშსაც ბოლო მოეღო, ამ დღეებში წითელმა რაზმა გაანადგურა გორდის შავი რაზმელები; ეგრედ წოდებულ შავიდის თავებს, ხულიგანებს, შავ-შავიდ პატრონსან ოჯახის ვითომდა მფარველებს აართვეს იარაღი, ბერდანკები და ყველა ესენი ხალხს გადასცეს საკუთრებად. ვაშა, გორდის წითელ რაზმელებს; ზიზღი თქვენ, გორდის ყოფილნო შავო რაზმელნო!!

ილია ბახტაძე.

თატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. ქართული დრამატიული ლიტერატურა იმდენად ღარიბია და მწირი, რომ არ შეიძლება განსაკუთრებულის გულხიერებით არ მოეკიდო ყოველგვარ ორიგინალურ ნაწარმოებს, რაკი იგი იბეჭდება და სცენაზე იდგმის, და მხოლოდ ჯეროვანის აწონდაწონის შემდეგ, არ გამოსთქვა აზრი ამა თუ იმ პიესის ავ-კარგის შესახებ.

ამიტომ, უსამართლობა იქნებოდა, პირადებით, განუსჯელად მეთქვა, ბ-ნ რამიშვილის სცენები „მეზობლები" ავია ან კარგია-მეთქი და თან არავითარი მოსაზრება არ წამომძღვარებინა.—

არ ვიკისრებ ამ უსამართლობას.

„მეზობლები" ფელეტონებად დაიბეჭდა ძველს „ივერია"-ში და შარშან სცენაზედაც იქმნა წარმოდგენილი. ამის გამო, იმედი მაქვს, შინაარსი ამ პიესისა მკითხველს მოეხსენება და მე ნუღა გამამეორებინებს.

მართალია, ეს პიესა ჯერ კიდევ იმ დროს არის დაწერილი, როცა თითოეული ჩვენგანი ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთისა,—და მასთან საქართველოსიც,—იმ ხასიათს მიიღებდა, როგორსაც ახლა ვხედავთ, მაგრამ მაინც მაშინაც სჩანდა ნიშნები ხალხში ცხოვრების დუღილისა. განსაკუთრებული ალღო რაღა იყო საჭირო, კაცს ეწინასწარმეტყველა—მალე ძველს ახალი შესცვლის და ჩვენის ხალხის სხვადასხვა ჯგუფნი იერს იცვლიანო. სწორედ ამ მოძრაობის ანარეკლია ის იდეა, ის დედა-აზრი, რომელიც ასულდგმულებს,—ბ-ნ რამიშვილის ნაწარმოებს.

ბ-ნ რამიშვილს განუზრახავს დაუპირდაპიროს ორი სხვადასხვა ბანაკის მებრძოლნი. ერთ ბანაკში არიან თავადნი და აზნაურნი და მათი ამყოლნი, თუმცა არა თავადნი და აზნაურნი, მაგრამ გარემოებათა წყალობით ამ წოდების ავან-ჩავანნი, ე. ი. შეცდომით გლეხად დაბადებულნი, როგორც ჰგონია თამარა ამბობს. მეორე ბანაკში იმყოფებიან ხალხის პირ-მშო-შვილნი,—განათლებით აღჭურვილნი გლეხნი—გლეხთათვის მოჭირნახულენი და თავდადებულნი.

რადგანაც ამ ორ ბანაკს შორის ბევრი რამ არის საცილობელი, რაღა თქმა უნდა, უეჭველად ბრძოლაც უნდა გამართოს.

სულითა და გულით ველით ამ ბრძოლას, რადგანაც იგაა ქვა-კუთხედი ავტორის განზრახულებისა, მაგრამ ბრძოლის მაგიერ ვხედავთ... არა, გვესმის... ლაპარაკი.

დიახ, ერთი ბანაკი თავისთავს, თვისთა შორის, ლაპარაკობს და, ეჭვ-გარეშე, მეორე ბანაკს სდებს ბრალს—ხალხს აძარცვებს, აჯანყებს და თავად აზნაურობას წაღეკვას უპირებსო... მეორე ბანაკი აგრეთვე... ლაპარაკობს და პირველს ამტყუნებს,—ხალხის მტერია, ხალხისთვის თავდადებულთ სიცოცხლეს ასალმებსო და სხვ...

ორთავ მოქმედების განმავლობაში, არც ერთხელ, ავტორს არ შეუხვედრებია ერთმანეთისათვის ეს მოსისხლე მტერნი, არ გამოუმზეურებია საქმით მათი სულთასწრაფვა, ერთის ავობა, მეორის კარგობა, ერთის სიკეთე, მეორის უკეთურება, ერთის საქმიანობა, მეორის უსაქმურობა.

მართალია, პირველ მოქმედებაში ავტორი გვიხატავს, თუ უნივერსიტეტ გათავებული მებატონე და მისი სახლობა როგორ ჰგზავნის მოურავს და მოსამსახურე დევნის გლეხების დასარბევად, მაგრამ ეს სურათი უმნიშვნელოდ, ეპიზოდურად არის პიესაში ჩაკერებული. მეოთხე მოქმედების უკანასკნელ სცენაში ორივე ბანაკი ერთმანეთს შეხვდება; მხოლოდ პიესისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ ისინი სულაც არ შეხვედროდნენ, რადგანაც აქ ავტორი ისეთის ენით ალაპარაკებს თავისს უმთავრესს გმირს, ილიკო მენაბდიშვილს—რომ ამდროინდელი მიტინგი გეგონებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სხვაგან მიტინგზე ზოგიერთი ორატორი ხელოვნურად, კილო შეკიდებით და სხარტულად ლაპარაკობს. მენაბდიშვილის სიტყვები კი მეტის-მეტად შაბლონურია და მოსაწყენი. მე იმას როდი ვამბობ, ესა თუ ის მოძღვრება—სოციალური იქნება იგი, პოლიტიკური თუ ფილოსოფიური,—სცენისათვის საკმაო საგნად არ უნდა გაიხადოს ავტორმა-მეთქი მხოლოდ მაშინ ამ მოძღვრებას სჭირია სურათოვანი აღბეჭდვა ასე, რომ რიტორიკა და ფრაზეოლოგია არ გამოვიდეს.

სამწუხაროდ, ადგილის რაოდენობა ნებას არ მაძლევს დაწვრილებით გამოვარკვიო ნაკლნი რამიშვილის პიესისა. ამასთანავე არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ამავე პიესაში მოიპოვება ისეთი ნიშანდობლივი ადგილები, რომლებიც სრულს იმედს მაძლევენ გულში და მაფიქრებინებს, რომ ბ-ნი რამიშვილი ნიჭს როდია მოკლებული და მოსალოდნელია, შემდეგში კარგს რამეს უძღვნის ქართულ სცენას.

იქ, სადაც ავტორი პუშკინის პიმენივით „не мудрствуетъ лукаво" და მაღალ აზრებს არ ეპოტინება,—იგი იჩენს ალღოს მხატვრულ შემოქმედობისას. მაგალითად, მშვენიერია ტიპი ქამის გრუშნევსკისა. მშვენიერია სცენა ქამის ოსუნჯობისა, ხუმრობისა. (მესამე მოქმედება) უცნაური ნათლად არის მოსილი მისი იუმორი, რაც სიამოვნებას უღვიძებს მაყურებელს. კარგიც იქნებოდა პირველი მოქმედება, რომ ცოტა სიგრძე არა სწორდეს და ზოგიერთს მოქმედ-პირების ავსულობას ავტორი ისე არ აზვიადებდეს და მეორების სათნოებას ტაი-ტაით არა ჰქებდეს.

ერთის სიტყვით ბ-ნ რამიშვილს აკლია გრძნობა ზომიერებისა და უნარი სცენიურ ეფექტების განაწილებისა. დიალოგების ალღო აქვს და საკმარისადაც.

დიდი ნაკლულოვანება პიესისა საერთოდ კიდევ ის არის, რომ პიესა რუსულ ფრაზებით განახვრეტილია. ისე სიტყვას არ იტყვის ვინმე, რომ თან დასტურად რუსული ფრაზა არ დაურთოს. შეიძლება, ავტორმა იმით იმართლოს თავი, რომ ყველანი შერეულად ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს ვერავითარი თამასუქი იქნება თავისმართლებისა. მაშინ ყველა ქართველი მწერალი იძულებული იქნებოდა თავისი ნაწარმოები სანახევროდ რუსულად დაეწერა. რუსულს თუ სხვა უცხო ენაზედ ჩაკერებულ თითოორიდა სიტყვას ნაკვესობის იერი უნდა ჰქონდეს და მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც იგი მოკლედ და სხარტულად ახასიათებს ან მოქმედის პიროვნებას, ან საკამათო საგანს. აი, მაგალითად, ზოგიერთი სიტყვები დუკა სუთაიძისა შესაფერია—„національная гордость" და სხვ. ბ-ნი რამიშვილი კი მოქმედ პირთ ისეთ ფრაზებს ათქმევინებს რუსულად, რომლებიც ქართულად მშვენივრად ითქმის; რუსულად კი სმენას ჰბღალავს; მერე განსაკუთრებით ჩვენი მსახიობნი ისეთი კილოკავით წამოისვრიან ხოლმე რუსულ სიტყვებს, რომ ორსულ დედაკაცს მუცელს მოსწყვეტავს.

ქართველმა მსახიობებმა ეს პიესა შესაფერად ვერ წარმოადგინეს. გარდა ვ. აბაშიძისა, რომელიც ბებერ ქამის საუცხოოდ თამაშობს, დანარჩენები უფერულნი იყვნენ. არკადი (ბ-ნი ნაკვეიანი) და მისი მეუღლე (ქ-ნი კარკარეთელისა) ბუნებრივობა აკლდათ: ქ-ნმა მღვიანმა თავითვე კილოშეკიდებულად დაიწყო ლაპარაკი და პირველ მოქმედების სიგრძე უფრო გაძლიერა. ქ-ნ ივანიძისას ავადმყოფობა უფრო ეტყობოდა, ვიდრე მწუხარება სამგლოვიაროდ, სცენის გარედ საუცხოვოდ მოსთქვამდა მოკლულ შვილის უბედურებას. ბ-ნი დადიანი მშვენიერი რამ იყო სუთაიძის როლში—გრიმა შესანიშნავი, მიხვრა-მოხვრა სათანადო. სამწუხაროდ, ეს როლი ეპიზოდურია და საშუალებას საკმაოდ როდი იძლევა, რომ მსახიობმა მეტი უნარი გამოიჩინოს. ბ-ნ ყავაძეს დიქცია არ უვარგა. ქ-ნ გაბუნია-ცაგარელისას აკლდა მედიდურება და თავადურ ბრწყინვალებით გაბერილობა. ბ-ნმა შათირიშვილმა როლი დამაკმაყოფილა, თუმცა საზოგადოებას ძლიერ მოეწონა. ბ-ნი შათირიშვილი ქამი ფონ-ბიდერს მხიარულ და კომიზმით აღსავსე კაცს გვიხატავს. ჩემის აზრით ეს შეცდომაა. ფონ-ბიდერი გრძნობა გამოფიტული, სულიერად გამხმარი ადამიანია. მისი ღიმილი ფუჭია და ანცარება. მისი არსება მგზნებარებისას აღკვეთილია; მაშასადამე, ისეთი მოძრაობა, ისეთი ხითხითი არ შეეფერება, როგორიც მსახიობმა გვიჩვენა. ბ-ნი გუნია კარგი იყო, გრძნობა საკმაოდ ეტყობოდა, მხოლოდ ისეთი გრიმი გაეკეთებინა, რომ მენაბდიშვილს ხანში შესულის იერით ჰმოსავდა. მენაბდიშვილი ახალგაზრდა კაცია.

რეჟისორს უმეცრობა ეტყობა,—მაგალითები: ქ-ნი კარკარეთელისა მარჯვნივ გავიდა პავილიონზე დასაწოლად; პავილიონის ფანჯარა კი მარცხნივ მოისმოდა. მერე ქ-ნი კარკარეთელისა ისევ მარჯვნივ კარებიდან შემოვიდა. ბ-ნი სვიმონიძე და ქ-ნი კარკარეთელისა ხელი-ხელ ჩახვეულნი ბაღში გავიდნენ და იქვე ავანსცენზედ ბ-ნ ჩარკვიანს (ქმარი ქეთოსი) შეეჯახნენ. პავილიონში კი ასე როდი უნდა იყოს. საქართველოს ბუნებას როდი შეეფერება რუსეთის პეიზაჟი და „сѣверное сіяніе" (2 მოქმედება) არც თუ შეფერებულ გამოსვლაზედ აგებული სახლი შეესაბამებოდა მენაბდიშვილის კარ-მიდამოს.

წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, თუმცა შემოსავალი დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ იყო დანიშნული. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ხალხი პეტარდის აფეთქებამ შეაშინა და გარედ ვეღარ გაბედა გამოსვლა. და ვინც დაესწრო, იმათ შესახებ უნდა ვთქვა (უმეტესობის მიმართ), რომ მეტის-მეტად თავ-აშვებულად იქცეოდნენ; წამითი-წამ დარბაზში ისეთი ღრიანცელი ასტყდებოდა ხოლმე, რომ ყურთა-სმენა აღარ იყო. უზომო აღტაცება, ერთმანეთის მიერ ერთის კუთხიდან მეორე კუთხისკენ გადაძახილი ისეთ ელფერსა ჰფენდა აქაურობას, გეგონებოდათ ქუჩაში ვართ და არა სათეატრო დარბაზშიო.

პიესა საზოგადოებას მოეწონა. ავტორი მრავალჯერ გამოიხმეს.

ი.

კორესპონდენცია

ქ. გორი. 30 ოქტომბერს მშვენიერი დღე გამოვიდა. წინა დღეების წვიმა-ტალახით შეწუხებული და სახლში ჯდომით სულშეხუთული ხალხი ახლა გარედ გამოიფინა. მშვენიერი საღამო იყო. თბილოდა. კაცს გაზაფხულის თბილ ღამეს მოაგონებდა. ყოველ კაცს, ყოველ ადამიანს, სახეზე სიხარულის ღიმი უქროდა და ყველა რკინის გზის სადგურისაკენ მიიშურებოდა. ამ დღეს დილით ტფილისიდან დეპეშა მოვიდა, რომ ოლონეცის გუბერნიაში გადასასახლებლად გაგზავნილნი: გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი, დათა ცერცვაძე, კოლა გვარამაძე და სხვ. საღამოზე ამოვლენო. აი, ეს იყო მიზეზი, რომ სადგური სავსებით აივსო ხალხითა და ტევა აღარ იყო. ყველა მოუთმენლად მოელოდა მატარებელს. ხანდისხან მათ გულში გაუვლიდათ ეჭვი, ვაი, თუ არ ამოვიდნენო, რადგან მატარებლები ამ დროს შეჩერებულნი იყვნენ. მაგრამ აი, შორს, ხეობაში, გამოჩნდა თეთრი ბოლი და ჩქარა მოუახლოვდა ბაქანს თითონ მატარებელიც, რომლის ორთქლ-მავალსაც წინ წითელი დროშა ჰქონდა გაკეთებული. ხალხი სიხარულის ყიჟინითა და აღტაცებული „ურა"-ს ძახილით შეხვდა მას. აი, გაჩერდა მატარებელიც, ყველამ დაუწყო ძებნა გორელ „გაგზავნილებს". ბოლოს ერთი ვაგონიდგან გადმოვიდნენ ყველა ისინი. ხალხი მიეხვია მათ, აღტაცებული „გაუმარჯოს თავისუფლებას" ძახილით მიესალმა და გარს შემოეხვია, თითქოს ეშინოდათ, კიდევ არავინ წაგვართვასო. ყველა აღტაცებული იყო, ყველა უსაზღვრო სიხარულს გრძნობდა. აქვე, რკინის გზის სადგურზე, რამდენმამე მათგანმა სიტყვა წარმოსთქვა. ჟანდარმების უფროსმა სცადა დაუშალა მათთვის სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ ხალხმა მათ ყური არ ათხოვა და იგინი იძულებულნი იყვნენ მოშორებოდნენ ხალხს. ბოლოს დაიძრა მატარებელიც და ხალხმა იგი გააცილა „მარსელიეზის" სიმღერით, რომელსაც ბანს აძლევდნენ შიგ მატარებელში მყოფნიც (ამ მატარებელში მხოლოდ განთავისუფლებული გადასახლებულები იყვნენ). შემდეგ ისევ „მარსელიეზას" და სხვა რევოლუციური სიმღერების მღერით გავიდნენ ქალაქშიაც: გზაში აქ მათ შეხვდათ დანარჩენი ხალხი მაშხალებითა და წითელის დროშით. ამგვარად აიარეს მთელი გორი. გზაში რამდენსამე ადგილას წარმოითქვა სიტყვები ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისა და 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ. ბოლოს, ღამის 10 საათზე, „გაუმარჯოს თავისუფლების" ძახილით ძლივს დაიშალა ხალხი.

საზოგადოდ ამისთანა აღტაცება და ამასთანა ერთობრივი სიხარული ძნელად ყოფილა გორში. გორის პოლიცია ყველა ამას „გულ-გრილად" უცქეროდა და „საქმეში" არ ერეოდა.

სამშაბათს, 1 ნოემბერს, ქალაქ გარედ გაიმართა მიტინგი. ხალხი ნაკლებად დაესწრო, რადგანაც ხმა გავრცელდა, პოლიცია მოულოდნელად თავს დაესხმის აპირობსო. მეორე დღეს მიტინგები მთლად აეკრძალეს და ხალხს შეკრების ნება არსად არ მისცეს...

გ. ნამორაძე.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 23 ნოემბერს, დღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კოჯრისა და ბებუთოვის ქუჩაზე (მე-4 საპ. ნაწ.) კანალიზაციის გასაკეთებლად. უნდა გაკეთდეს 98 საჟ. ბეტონის მილი, სისქით, 0,25×0,16 და სამი ჰა.

წერილობით განცხადება ფასების აღნიშვნით წარმოდგენილ უნდა იქმნას 23 ნოემბრისათვის.

მსურველთ დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიანთ გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში, ყოველ დღე, კვირა უქმის გარდა, 1—2 სათამდე, საქმე № 22/1905. (3—1).

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ წლის 23 ნოემბერს, დღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ზახარის ქუჩისა და სომხის ბაზარში კანალიზაციის გასაკეთებლად.

უნდა გაკეთდეს:
20 საჟ. ბეტონის მილი, სისქით 0,375×0,28
38 საჟ. „ „ „ 0,25×0,16
და სამი ჰა.

წერილობით განცხადება ფასების აღნიშვნით წარმომადგენილ უნდა იქმნეს 23 ნოემბერს, 12 საათისათვის.

ამ საქმის გაკეთების მსურველთ დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიანთ გამგეობის საალმშენობლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმის გარდა, დღის 1—2 საათამდე, საქმე № 412/90 წ. (3—1).

ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში" და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძესთან.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.